პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 110 (20806) — ხუთშაბათი, 10 მაისი, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.

თბილისი, 1990 წლის 9 მაისი. გამარჯვების პარკის მემორიალის შემკობა ყვავილებით.
გონდო დვალიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ომისა და გამარჯვების გაკვეთილები

დიადი და დაუვიწყარი. — ასეთად დარჩება საბჭოთა ადამიანების გულსა და მეხსიერებაში ჩვენი გამარჯვება. სულ უფრო შორს, დროთა სიღრმეში მიდის 1945 წელი, მაგრამ წლები აფერმკრთალებს ხალხის მეხსიერებას. უფრო მეტიც: იგი გრძელდება დღევანდელ საქმეებში. თითქოს ხიდი გაიდო იმ გამარჯვების მაისიდან ქვეყნის რევოლუციური განახლებისაკენ, რომელსაც გაბედულად მოვკიდეთ ხელი დღეს. გარდაქმნის დიადი ამოცანების რეალიზაცია ხომ შეუძლებელი იქნებოდა, თუ არა გმირული შრომა თაობისა, რომელმაც ფაშიზმი გაანადგურა.

1941-45 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 45 წლისთავს მიეძღვნა 8 მაისს სსრ კავშირის დიდ თეატრში გამართული მოსკოვის მშრომელთა და მოსკოვის გარნიზონის მეომართა წარმომადგენლების საზეიმო კრება.

დარბაზში არიან საბჭოთა კავშირის გმირები, დიდების ორდენის, სხვა საბრძოლო ორდენებისა და მედლების, მშვიდობიანი შრომისათვის ჯილდოების კავალრები, დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები, მოკავშირე რესპუბლიკების წარმოგზავნილნი. ესწრებიან მოსკოვში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წევრები და უცხოელი სტუმრები.

საზეიმო კრებაში მონაწილეობდნენ მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ი. ვოროტნიკოვი, ლ. ნ. ზაიკოვი, ა. ნ. იაკოვლევი, ვ. ა. კრიუჩკოვი, ი. კ. ლიგაჩოვი, ი. დ. მასლიუკოვი, ვ. ა. მედვედევი, ნ. ი. რიჟკოვი, ნ. ნ. სლიუნკოვი, ე. ა. შევარდნაძე, ა. პ. ბირიუკოვა, ა. ვ. ვლასოვი, დ. ტ. იაზოვი, ა. ი. ლუკიანოვი, ე. მ. პრიმაკოვი, ბ. კ. პუგო, გ. პ. რაზუმოვსკი, ა. ნ. გირენკო, ი. ა. მახაენკოვი, ე. ს. სტროევი, გ. ი. უსმანოვი, ი. ტ. ფროლოვი, სსრ კავშირის საარეზიდენტო საბჭოს და სსრ კავშირის მთავრობის წევრები, მოსკოვისა და მისი ოლქის ხელმძღვანელები.

აქვე არიან თვალსაჩინო საბჭოთა მხედართმთავრები, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

კრება გახსნა საბჭოთა კავშირის ომის, შრომის და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოთა კავშირის მარშალმა ნ. ვ. ოგარკოვმა. შესრულდა საბჭოთა კავშირის ჰიმნი.

გაისმის დაფდაფების ხმა, დარბაზში შემოაქვთ გამარჯვების დროშა.

მოხსენება „ომისა და გამარჯვების გაკვეთილები“ გააკეთა მ. ს. გორბაჩოვმა.

მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება

მოსკოვში გამართულ საზეიმო კრებაზე

პატივცემულო ამხანაგებო! ძვირფასო ვეტერანებო!

ბევრ ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე დიდებული და ტრაგიკული დღესასწაულია — 45 წლის წინ გაბოროტებულის ამ დღეს თითოეულ საბჭოთა ოჯახში მოვიდა დიდი ხნის ნანატრი ამბავი: მტერი დამარცხებულია, სამართლიანობამ გაიმარჯვა.

ომზეიმე კაცობრიობა ეპოთეტებს არ იშურებდა და აქებ-ადიდებდა წითელ არმიას, ჩვენს ალიანს, საბჭოთა სახელმწიფოს ფაშისტური ჭირის წინააღმდეგ ბრძოლაში მოპოვებული მხედრული დიდებისათვის. მეგობრებისა და მოკავშირეების ძალიან ბევრმა, აღსრულებული ვალის გრძნობამ, მსოფლიო და შინაურ საქმეებში სასიკეთო შემობრუნების ინერციამ ამოქმედა რამდენადმე გაგვიჭირეს მძიმე, აუნახლაურებელი დაჭაკლისის ტკივილი.

1945 წლის 9 მაისი ჩვენი გამარჯვების დღეა, საყოველთაოსახალხო სიმამაცისა და საყოველთაო-სახალხო გლოვის დღე. სამშენელი, უზომოდ სასტიკი ომის დამთავრების დღე.

45 წელია ომის შემდგომი ევროპა, ჩვენი ქვეყანა მშვიდობიან პირობებში ვითარდება. ისტორიის კუთვნილება ხდება ბობოკარი XX საუკუნე გენიალურ მოზრაონეთა ზემთაგონებით, უდიდესი სოციალური ცვლილებებით, ეფექიერობისა, და ტექნიკის სწორუპოვარი წარმატებებით, კოსმოსში გაჭრითა და მიკროსამყაროს საიდუმლოებებში წვდომით. და ამასთანავე, მისი ქიმერებით, ილუზიებითა და უტოპიებით, გაგანტური კატაკლიზმებით, მსოფლიო ომებით, სიკვდილის ინდუსტრიის შექმნით, ყოველსმომსრეელი იარაღით, ეკოლოგიური კრიზისებითა და ენერგეტიკული მფლანგველობით.

ორი საუკუნის შესაყარზე წამოჭრილი უმწვავესი გლობალური პრობლემები კაცობრობას აიძულებს სულ უფრო ღრმად გაიცნობიეროს თვით პროგრესის ობიექტიური ბუნებრივი და კონფლიქტური ხასიათი.

ადამიანის გონების ბრწყინვალე გამარჯვებებს, უთვალსაჩინოეს მეცნიერულ აღმოჩენებსა და ტექნიკურ მოწყვეტებს უკვე არაერთგზის შეუმოტანია ვნება თვით მათი შემოქმედისა და აღმაშენებლის — ადამიანისათვის. კაცობრობა, რომელმაც გადაიტანა უდიდესი ტრაგედია — ომი, რომლის ცეცხლოვანმა გრიგალმა ელ მსოფლიოს გადაუარა, არ შეიძლება არ დაუფიქროს მის ფასს, შედეგებსა და გაკვეთილებს.

* * *

დღეს ჩვენ უწინარესად ვიხსენებთ ყველას, ვინც ომის გზები განვლო. მართლაცდა, უდიდესი უსამართლობაა, რომ შეუძლებელია სათითაოდ ჩამოთვალო ყველა. და უდიდესი სამართლიანობაა ის, რომ გმარჯვებულს, რომელმაც ყველაფერს გაუძლო და ყველაფერს სძლია, საელად საბჭოთა ხალხი ჰქვია.

1941 წლის 22 ივნისს ომში აღმოჩნდა ჩათრეული მრავალსაუკუნოვანი ისტორიის, უდიდესი სულიერი, ზნეობრივი და მატერიალური კუთვნილების მქონე თითქმის ორასმილიონიანი ხალხი, რომელსაც არაერთგზის კუდით ქვა უსროლინებია დამპყრობთათვის, მძიმე შრომით აუთვისებია და გაუერთიანებია უკიდეგანო სივრცეები.

ეს იყო ხალხი, რომელმაც სულ რამდენიმე, ფრენულში ბოდიანა სამი რევოლუცია, სამოქალაქო ომი, მსხვერპლის ფასად მოპოვებული ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაციის მთელი დრამატიზმი, სხვა მძიმე განსაცდელი, მაგრამ შეინარჩუნა ოქტომბრის იდეალების რწმენა, საბჭოთა ხელისუფლების ერთგულება.

მტერი თავისდამოუკიდებლად გადაწყდა ხალხს, რომელიც შეკავშირდა საერთო საფრთხის წინაშე, დაივიწყა, სამუდამოდ თუ ეჩოებით საკუთარი გასაჭირი და უბედურება.

დღეს ჩვენი თანამემამულენი უსაზღვრო მადლობას უთვლიან ფრონტელებს, ყველასა და თითოეულს ცალ-ცალკე, ვისაც ქვეყანა, ჩვენ, ოცდხელი, გმარჯვებას უნდა ვუმადლოდეთ.

ჩვენი თაყვანისცემა საბჭოთა ჯარისკაცს, რომელმაც საკუთარი მხრებით ზიდა ომის ძირითადი სიმძიმე და უდიდესი მხედრული გმირობა გამოიჩინა.

ჩვენი უღრმესი მადლობა ოფიცრებსა და გენერლებს, ყველას, ვინც იერიშზე მიუძღოდა ასეულებსა და ბატალიონებს, ვინც ბრძოლაში სარდლობდა პოლკებსა და დივიზიებს.

ჩვენი სამარადჟამო მადლობა დიდი სამამულო ომის შესანიშნავ მხედართმთავრებს — სამხედრო საქმის გენიოსს გ. კ. ჟუკოვს, ა. მ. ვასილევსკის, კ. კ. როკოსოვსკის, ნ. ფ. ვატუტინს, ლ. ა. გოვოროვს, ი. ს. კონევს, რ. ი. მალინოვსკის, კ. ა. მერეცკოვს, ს. კ. ტიმოშენკოს, თ. ი. ტოლბუხინს, ი. რ. ჩერნიახოვსკის, ვ. თ. ტრიბუცს, ი. ქ. ბაგრამიანს, ა. ი. ერემენკოს, ნ. გ. კუზნეცოვს, ბ. მ. შაპოშნიკოვს, ა. ი. ანტონოვს, სხვა მხედართმთავრებს.

დღეს ჩვენ სულ უფრო მეტს ვფიქრობთ ჩვენი მხედრეების გმირობაზე, რომლებსაც უნდა ვუმადლოდეთ ბევრ მოგებულ ბრძოლასა და გადარჩენილ სიცოცხლეს.

მივაგოთ ჯეროვანი პატივი პარტიზანებსა და იატაკქვეშელებს, ამ მამაც და შედგარ ადამიანებს.

სამშობლოს დამცველები იყვნენ ჯარისკაცის ფარაჯითა თუ ოფიცრის მუნდირით შემოსილი მუშები, გლეხები, ინტელიგენტები. სამშობლოს დამცველები იყვნენ ისინიც, ოღონდ მუშის სპეცტანსაცმლით, დაბამბული ქურთუკებითა თუ გაცვეთილი ჰიჯაკებით. დიდება მათ!

ომის წლების შრომითმა ეპოპეამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რაოდენ მდიდარია საბჭოთა ხალხი ტალანტებით. დიდი სამამულო ომის შტიანეში სამართლიანად შევიდა მრავალი მეცნიერის, იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის კონსტრუქტორების — ვ. გ. გრაბინის, ვ. ა. დეგტიარიოვის, ა. ს. იაკოვლევის, ს. ვ. ილიუშინის, ე. ი. კოტინის, ს. ა. ლავოჩკინის, ა. ა. მიკულინის, ვ. მ. პეტლიაკოვის, ა. ნ. ტუპოლევის, გ. ს. შაბგინის, სახალხო კომისრებისა და მრეწველობის სხვა ხელმძღვანელების — ბ. ლ. ვანნიკოვის, ნ. ა. ეროხესენკოს, ა. პ. ზავენიაგინის, ი. მ. ზალცმანის, ა. ნ. კოსიგინის, ვ. ა. მალიშევის, გ. ი. ნოსოვის, ი. თ. თევოსიანის, დ. თ. უსტინოვის სახელები. ქვეყნის თავდაცვას მიუძღვნეს თავიანთი შემოქმედებითი ძიება ე. ო. პატონმა და ი. ვ. კურჩატოვმა, ს. პ. კოროლიოვმა და ვ. პ. გლუშკომ, ათასობით საბჭოთა მეცნიერმა.

უკაცოდ დარჩენილ ნახევრად მშიერ სოფლებში შვნელ-ბოეველების მთელი ტვირთი კისრად იღეს მრავალტანჯულმა გლეხის ქალებმა, ჯარისკაცების ცოლებმა და ქვრივებმა, დედაბრებმა. ის, რაც ომის დროს გააკეთეს ქალებმა, უმაგალითოა და ბერალდროს ვერ დავივიწყებთ.

დღედაღამ გადაჰქონდათ ტვირთი რკინიგზელებს, ავტომობილისტებსა და წყალნაოსნებს, ქვეშრის უზრუნველყოფდნენ მეკავშირენი. ჰოსპიტლებსა და სანიტარიულ მატარებლებში არც ერთი წუთით არ წყდებოდა ბრძოლა ნაგვემი, ომით დასახიჩრებული ჯარისკაცების სიცოცხლისათვის. გამარჯვების მოახლოებას ახმაურნენ თვეიანთ გარჯას მეცნიერი და მწერალი, მსახიობი და კომპოზიტორი, მხატვარი და კინოოპერატორი, მთელი ჩვენი შემოქმედი ინტელიგენცია.

ღირსეულად მოიპოვეს მხედრული დიდება მოსკოვმა, ლენინგრადმა და სხვა გმირმა ქალაქებმა. მაგრამ ნუ დავივიწყდება ნურც ვოლგისპირეთის, ურალის, ციმბირის მაშვრალი ქალაქები, კუზბასი და მაგნიტოგორსკი, ნოვოსიბირსკიდან და სვერდლოვსკიდან, პერმიდან, გორკიდან და ჩელიაბინსკიდან, კუიბიშევიდან და ნიჟნი ტაგილიდან, ქვეყნის ბევრი სხვა დიდი თუ პატარა ქალაქიდან მიდიოდნენ ფრონტზე უახლესი ნიმუშების ტანკები და თვითმფრინავები, ყველა კალიბრის ქვემეხები, ნაღმსატყორცნები, ჭურვები, ავტომატები, ვაზნები. რა უნდა ექნა ფრონტს, რომ არ ჰქონოდა ბაქოს და ვოლგის ნავთობი, უზბეკეთისა და ტაჯიკეთის ბამბა?

ქვეყანა, დიდიან-პატარიანა, მთელი მოსახლეობის გარჯით, ფრონტისა და ზურგის ერთიანი ძალისხმევით სჯედდა გამარჯვებას. ეს იყო ჭეშმარიტად სახალხო ომი.

მადლიერების სიტყვებით მივმართავთ მოკავშირე არმიების — დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, „მებრძოლი საფრანგეთის“, კანადის ჯარისკაცებს, იუგოსლავიისა და ალბანეთის სახალხო-გამთავისუფლებელი არმიების გმირებს, პოლონეთის ლაშქრის მეომრებს, ჩეხოსლოვაკიელ მებრძოლებს ფაშისტი ოკუპანტების წინააღმდეგ, ევროპის წინააღმდეგობის მონაწილეებს; იაპონის მილიტარისტებთან მებრძოლ ჩინეთისა და კორეის, ვიეტნამისა და მრავალი სხვა ქვეყნის მეომრებსა და პარტიზანებს. მრავალი მათგანის წარმომადგენლები ჩვენს მორის არიან, ამ ზეიმზე, და ჩვენ მივეალმებით მათ.

მადლობას ვუთვლით გერმანელ ანტიფაშისტებს, რომლებსაც ესმოდათ, რა ეროვნული კატასტროფა განუმზადა გერმანელ ერს ჰიტლერის ხროვამ.

ჩვენ ჯეროვან პატივს მივაგებთ ყველას, ვინც წვლილი შეიტანა გამარჯვებას, და ეგლოვობთ იმ უდიდესი მსხვერპლის გამო, აცოცხრიობამ რომ გაიღო მეორე მსოფლიო ომის ქარ-ცეცხლში.

45 წლის წინ ჯერ არავინ იცოდა ბოლომდე რაოდენ განუზომელი აღმოჩნდებოდა საბჭოთა ხალხის დანაკარგი, რა უბედურების ზღვას დააყენებდა მისი დაღვრილი ცრემლი და სისხლი. გამარჯვების ფასის სიმართლე თავად გახდა გამოცდა. მისი წარმოთქმა დღესაც კი გვიჭირს. მაგრამ არც უთქვლომა შეიძლება, რათა არ გაწყდეს დროთა კავშირი და უმადურობამ არ გაგვიქვაოს გული.

ავდგეთ ფეხზე, ამხანაგებო, და მივაგოთ პატივი საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც დაიღუპნენ ყველაზე მძიმე ომში, როგორიც კი ოდესმე რგუნებია ხვედრად ჩვენს ხალხს, და საერთოდ, რომელმე ხალხს დედამიწის ზურგზე.

ომმა შეიწირა თითქმის 27 მილიონი საბჭოთა ადამიანი. და გარდა ამისა იყო მილიონობით დაჭრილი, კონტუზირ ე ბ ული, ხელ-ფეხმოყინული.

ომი როდი იყო მარტოოდენ მეომარი არმიების ორთაბრძოლა, როგორც ეს წინათ ყოფილა. აგრესორი ლახვარს სცემდა მთელ ხალხს, მისი ყოფიერების საფუძველთა საფუძველს.

ადამიანები იღუპებოდნენ ბრძოლებში ფრონტებზე, ისინი იღუპებოდნენ საკუთარ სახლებში, ჭურვებისაგან. მათ ხვრეტდნენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე როგორც იდეოლოგიურ მტრებს ან რასობრივად არასრულფასოვნებს. გეგმაზომიერად ავლენდნენ მუსრს სიკვდილის ბანაკებში. არ იბრალებდნენ მოხუცებს, ქალებს, ბავშვებს, მცხოვრებლებთან ერთად გადაბუგა ასობით ბელორუსული, უკრაინული და რუსული სოფელი.

ვინ მოთვლის იმათ რიცხვს, ვინც ჯანმრთელობა დაკარგა და დაინვალიდდა ევაკუაციისა და დაბომბვის დროს, შიმშილისა და ეპიდემიებისაგან.

ევროპის ბრძოლის ველზე თავი დადო ასიათასობით საბჭოთა მეომარმა. პოლონეთის განთავისუფლებას შეეწირა 600 ათასი ჩვენი ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩეხოსლოვაკიისას — 140 ათასი, უნგრეთისას — 140 ათასი, რუმინეთისას, — დაახლოებით 69 ათასი, იუგოსლავიისას —8 ათასი, ავსტრიისას — 26 ათასი, ნორვეგიისას — 2 ათასზე მეტი, ფინეთისას — დაახლოებით 2 ათასი, ჩინეთისას — 8 ათასი, კორეისას — 1,5 ათასი. 100 ათასზე მეტი მეომარი დაგვეღუპა გერმანიის მზწა-ყოლზე.

პატივი მივაგოთ ჩვენი თანამემამულეების ხსოვნას, რომლებმაც ჯან არ დაიზიეს სიკვდილის წინაშე იმ ავბედითს ყამს, არ დაიზიეს, ოღონდ მარად ეცოცხლა ჩვენს ხალხს, ოღონდ არ შემწყდარიყო ჩვენი სახელმწიფოებრიობის ისტორია, ოღონდ ეხსნათ სხვა ხალხები ფაშისტური მონობისაგან.

თაყვანი ვცეთ ყველას, ვინც ბოლომდე უერთგულა მხედრულ ფიცს, ვინც არ დათმო მოქალაქეობრივი ღირსება, ვინც ჰიტლერულ დილეგებშიც კი განაგრძობდა სამშობლოსათვის ბრძოლას.

ნუ დავივიწყებთ იმ უსახელო მეომრებს, ძმათა საფლავებში რომ განისვენებენ, ვინც უგზო-უკვლოდ დაიკარგა ომის გზებზე, და თუმცა სახელი არ დაუტოვებია, სახელოვნად იბრძოდა.

ქედი მოვიდრიკოთ იმათი ხსოვნის წინაშე, ვინც თავი გასწირა დაჭრილთა, ქალთა, ბავშვთა, მოხუცთა გადასარჩენად.

მოვიხსენოთ ყველა, ვინც გაუბედურა ნაცისტურმა შემოსევამ.

გამარჯვების ამ, ორმოცდამეხუთე გაზაფხულზე გავიხსენოთ ისინი, ვისზეც ვდუმდით მრავალი ათწლეულის მანძილზე, ვისაც უკანონოდ ჰქონდა აყრილი პატიოსანი სახელი და მოქალაქეობრივი უფლებები, ვინც ბანაკებში იყო გამომწყვდეული. უდანაშაულოდ თავლაფდასმულ და მსჯავრდადებულ ადამიანებს — პატიმრებსაც კი შეჰქონდათ წვლილი გამარჯვებაში, მოიპოვებდნენ ვორკუტის ქვანახშირს, ციმბირის ხე-ტყეს, მაგადანის მადანსა და ოქროს.

მივაგოთ ჯეროვანი პატივი ინჟინრებს, ტექნიკოსებს, კონსტრუქტორებს, რომლებიც ირჯებოდნენ ეგრეთ წოდებულ „შარაშკებში“ — მავთულხლართიან სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებსა და საკონსტრუქტორო ბიუროებში. ეს ადამიანები არ ეპუებოდნენ თავიანთ ტრაგიკულ ბედს და ძალ-ღონის დაუზოგავად მუშაობდნენ გამარჯვებისათვის.

ჩვენ ფიცივით ვიმეორებთ: არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული. ეს შურისძიების მოწოდება როდია. ეს არის ღაღადი გულის ხსოვნისა, რომელიც ერთადერთი ხდის ადამიანს ადამიანად. ქება და დიდება იმათ ხსოვნას, ვინც ურჩხულისაგან დაიცვა სამშობლო, ვინც არ ეძებდა დიდებას, მაგრამ გულადობითა და ვაჟკაცობით სამუდამოდ დაიმკვიდრა ეს დიდება.

გთხოვთ, დაბრძანდეთ, ამხანაგებო.

მწარე, გულისმომკვლელი სიმართლეა. განა გასაკვირია, რომ იმ დროის ამბებზე არ შეგვძლია ვილაპარაკოთ წარსულ დროში? ისინი თვით, ჩვენი, ჩვენი მსოფლაღქმის განუყოფელი ნაწილია, ჩვენთვის იმის საზომად რჩება, თუ რა არის ეკეშმარიტი და რა არის ყალბი ამქვეყნად.

* * *

ომის გაკვეთილების დავიწყება ნიშნავს საკუთარი თავის და იმათ ღალატსაც, ვინც გვიხსნა და ვის ძილსაც უკვე ორმოცდაზუთი წელია ვიცავთ. ნიშნავს ახალდაბადებული თაობების დატოვებას უზომო ფასად მოპოვებული გამოცდილების გარეშე.

გამარჯვების დღე — ეს არ არის მხოლოდ მიწვევა სამართლიანი საქმისათვის დაღუპულთა მადლიერი მოხსენიებისათვის და არ არის მხოლოდ საბაბი სდღესასწაულო ზეიმობისთვის. ეს მეორე მსოფლიო ომად წოდებული ტრაგედიის მიზეზების გაანრების მიცაა. ეს არის დღე, როცა ხდება უომო მსოფლიოს ერთგულების შესახებ დეკლარაციის გულწრფელობის გამოცდა, რომელიც ერთნაირად უხვად ჰფენს სიობოსა და შუქს ყველას.

როგორ მოხდა, რომ საბჭოთა კავშირი, რომელმაც პირველად დაიძახა: „ფაშიზმი — ეს ომია!“, ყველაზე მეტი იოლნა, რათა თვალი აეხილა ხალხებისათვის საფრთხეზე, რომელიც კაცობრიობისათვის მოჰქონდათ გერმანელ ნაცისტებსა და იაპონელ მილიტარისტებს, თვითონ ასე ცუდად მოეშზადა აგრესიის მოსაგერიებლად? რამ განაპირობა ჩვენი დანაკარგებისა და ნგრევის წარმოუდგენელი მასშტაბები? რატომ იყო ესოდენ ძნელი ჩვენი არმიისათვის რაიხსტაგზე გამარჯვების დროშის აღმართვის გზა?

კვლავ და კვლავ ვუბრუნდებით ამ და სხვა საკვანძო საკითხებს, რამეთუ ჩვენს გონებასა და სინდისს ვერ აკმაყოფილებს უწინდელი არასრული, ზოგჯერ კი უზუსტო პასუხები.

პირველმა მსოფლიო ომმა გვიჩვენა, რომ ძალისმიერი პოლიტიკა ვერაფერს ვერ წყვეტს, მხოლოდ ახალ კონფლიქტებს იწვევს, მაგრამ იმპერიალიზმი კვლავ ძალმომრეობისა და ექსპანსიის კატეგორიებით აზროვნებდა. გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და აგრესორის კოლექტიური მოგერიების სისტემის შექმნის სასარგებლოდ საბჭოთა ინიციატივები იმ მთავრობათა აქტიურ წინააღმდეგობას აწყდებოდა, რომლებიც ოფიციალურად საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოყენების წინააღმდეგ იღვწოდნენ. მოსკოვის მოწოდებებს ძირითადად ეხმაურებოდა მუშათა მოძრაობა, პროგრესულად განწყობილი ინტელიგენცია. მაგრამ, 1937-1938 წლების ინსცენირებულმა სასამართლო პროცესებმა და რეპრესიებმა მრავალი მათგანიც ჩამოაცილა საბჭოთა კავშირს, სოციალისტურ იდეას.

გერმანიის რაიხის გამგებლებმა საკუთარი დასკვნები გამოიტანეს პირველი მსოფლიო ომიდან. რევანშის განაბრაზიდან იშვა ნაცისტური იდეოლოგია. „სასიცოცხლო სივრცისათვის“ ტოტალური ბრძოლის საკეთილდღეოდ მმართველობის სადაეები გადაეცა ჰიტლერს. ნაციზმის ეგოპოლტიკური პროგრამის გადამწყვეტი ელემენტი იყო საბჭოთა სახელმწიფოს მოსპობა, სსრ კავშირში მცხოვრები ხალხების ფიზიკური განადგურება ან დამონება.

ომი თანდათანობით იჭრებოდა ხალხთა ცხოვრებაში, ღრღნიდა საერთაშორისო ურთიერთობის ქსოვილს. უკვე 30-იანი წლების შუა ხანებიდან, არსებითად, ღიად რჩებოდა მხოლოდ საკითხი, როდის გადაიქცევა აზიაში, აფრიკაში, ევროპაში აღმოდებული ცალკეული კერები საერთო-მსოფლიო ხანძრად.

დღემდე კამათობენ მეცნიერები ბოლოტიკოსები, შეიძლებოდა თუ არა ჰიტლერის ალაგმვა. წარსულის პროგნოზი სასარგებლოა, იგი საშუალებას გვაძლევს უფრო წინდახედული ვიყოთ მომავლისათვის. ასე რომ, ცხადია, მოვლენათა მსვლელობა სულ სხვაგვარად განვითარდებოდა, რომ არ ყოფილიყო აგრესორთა „დაშოშმინების“ პოლიტიკა, რომელსაც ადგნენ ჩემბერლენი და დალადიე, რომ არ ყოფილიყო ვერაგული ვარაუდი, რომ გერმანია და საბჭოთა კავშირი სისხლს გამოსწოვენ ერთმანეთს და მაშინ შეიძლება უკარნახო შენი ნება მთელ ევროპას.

და მაინც, ომის თავიდან აცილების შესაძლებლობა ნაკლებ სავარაუდო იყო. მაგრამ, უეჭველია, შეიძლებოდა შეგვემცირებინა უბედურება, რადაც იქცა ჩვენი ქვეყნისთვის ჰიტლერელ ურდოთა შემოსევა.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობამ პრინციპული შეფასება მისცა საბჭოთა კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას, რომელიც დაიდო პოლონეთში ნაცისტთა შეჭრამდე ერთი კვირით ადრე. აღარ გავიმეორებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ უდიდეს პოლიტიკურ და მორალურ დამობათა ფასად მოპოვებული ომის დაწყების ვადის გადაწევა არარად აქცია შემდგომმა უაღრესად უხეშმა სტრატეგიულმა შეცდომებმა.

საკმაოდ ბევრი რამ გაკეთდა იმისათვის, რომ ოგვეეჯურგა წითელი არმია ავიაციით, ტანკებით და არტილერიით. მაგრამ ახალ ტექნიკას, რომელიც ტოლს არ უდებდა გერმანულს, — საკმარისია ვახსენოთ ტ-34 ტანკი, ან ილ-2 მოიერიშე თვითმფრინავი, — ჯარები უკვე იღებდნენ დაახლოებით 1940-41 წლებში, ხოლო იმისათვის, რომ ჯარისკაცებისა და ოფიცრებისათვის გვეფწავლებინა მისი ხმარება, საჭირო იყო მრავალი თვე.

მდგომარეობა გააუარესა იმანაც, რომ ჩვენი არმია სისხლით დაცლილი იყო, უფრო ზუსტად — უმეთაურებოდ დარჩა მეთაურთა კადრებთან საშინელი ანგარიშსწორების გამო. სტალინმა, რომელმაც გადააადგილა და რეპრესიები მოუწყო არმიების, კორპუსების, დივიზიების, ბრიგადებისა და პოლკების მეთაურებსაც კი, დაანგრია ქვეყნის თავდაცვის მართვის მთელი სისტემა. 40 ათასამდე ოფიცერი გამოეთხოვა მაშინ სიცოცხლეს ან თავისუფლებას.

რა არის ჯარები კომპეტენტური სარდლობის გარეშე, ეს ცხადი გახდა ჯერ კიდევ 1941 წლამდე. თავდაპირველად ხასანის ტბაზე. შემდეგ ფინეთთან ომში. და ბოლოს, ხალხინ-გოლზე, საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის დაჯგუფების მეთაურად გ. კ. ჟუკოვის დანიშვნამდე, რომელიც დაუპირისპირდა იაპონელ დამპყრობლებს.

საბედისწერო როლი შეასრულა დაზვერვის მონაცემების შეუფასებლობამაც, რის შედეგადაც გერმანიის სარდლობამ შეძლო სრულად გამოეყენებინა ისეთი ფაქტორი, როგორიცაა თავდასხმის მოულოდნელობა, შეექმნა უდიდესი უპირატესობა იერიშის დროს.

1941 წლის გაზაფხულიდან სტალინი რეგულარულად იღებდა პატაკებს ომზადებული თავდასხმის თარიღის და, ასე განსაჯეთ, ვერმახტის მთავარი დარტყმების მიმართულების შესახებაც კი, მაგრამ მან ამჯობინა ეხელმძღვანელა არა იმდენად აღმოსავლეთისაკენ გაჭრისათვის გერმანიის მომზადების დონით, რამდენადაც მასშტაბური ომისათვის ჩვენი მოუმზადებლობით.

1941 წლის აპრილ-მაისში ვერმახტი დაწინაურდა ფრონტალური იერიშისათვის საწყის მიჯნებზე ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე მთელი საზღვრის გასწვრივ, ხოლო სტალინმა ყველას „უბრძანა თვი ისე დაეჭირათ, თითქოს არაფერი არ ხდებოდა. ხოლო ისინი, ვინც უფრო, მეტად ენდობოდა საო ახრს, ვიდრე კაბინეტურ ოტმიზმს, დაეგმოთ როგორც „პროვოკატორები“ და „ხალხის მტრები“, ყველა აქედან გამომდინარე შედეგით.

22 ივნისს ქვეყანაზე თავს დატეხილმა ცეცხლოვანმა გრიგალმაც კი მაშინვე ვერ აიძულა სტალინი დაეოკებინა თავისი სიამაყე და თუნდაც საკუთარი თავის წინაშე ეღიარებინა, რომ ჰიტლერმა მოატყუა. მისი პირველი იმპულსური ბრძანება — არ გადასტლიყვნენ სახელმწიფო საზღვარზე: „ვაითუ, ეს მაინც ჯერ კიდევ ომი კი არა, ინციდენტიაო“.

ომს ველოდით. შისთვის ვემზადებოდით. მას კი დაბნეულები შევხვდით, თითქოს მოულოდნელი ყოფილიყოს ჩვენთვის.

წითელი არმიისათვის საშინელი იყო ომის დაწყებითი პერიოდის შედეგი — მძიმეობით მოკლული, დაჭრილი, უგზო-უკვლოდ დაკარგული და ტყვედ წასხმული. ჩვენ დავკარგეთ უმნიშვნელოვანესი სამრეწველო ცენტრები და სასოფლო-სამეურნეო რაიონები. მტრის ფეხქვეშ აღმოჩნდა მთელი უკრაინა და ბელორუსია, მოლდავეთი და ბალტიისპირეთი, რუსეთის ფედერაციის მთელი რიგი ოლქები.

როცა ვლაპარაკობთ ამაში სტალინის უდავო ბრალზე, სწორი არ იქნებოდა, თუ გვინდა დავრჩეთ ისტორიული სიმართლის პოზიციებზე, ხაზი გადგვესვა მისი როგორც უმაღლესი მთავარსარდლის, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის საქმიანობისათვის. ჰკონდა რა შეუზღუდველი ძალაუფლება, იგი თავისი ნებით წარმართავდა მმართველობის განსაკუთრებულ ზეცენტრალიზებულ სისტემას, რომელმაც იმ ელსტრემალურ პირობებში თავისი როლი შეასრულა. მაგრამ, დავიენ, შეასრულა მხოლოდ იმიტომ, რომ უმაც

ომისა და გამარჯვების გაკვეთილები

(დასასრული)

ბა, რომ განკარგულება გასცა შეეკვეცათ სამხედროთა საბრძოლო ტექნიკის წარმოება და „გეზარდათ სტრატეგიული თვითმფრინავების გამოშვება, რომელთა გამოყენებას აპირებდა ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ ოპერაციებში.

მას ვერც კი წარმოედგინა, რომ თითქოსდა წაქცეული რუსეთი წამოდგებოდა, რომ ოსტატურად დაგეგმილი, ექვსი, მაქსიმუმ — რვა კვირისათვის ნავარაუდევი გასეირნება აღმოსავლეთში შინ გლობალური ბატონობის დოქტრინის კრახით დამთავრდებოდა, რაიხის აგონიის პროლოგი გახდებოდა.

1941-42 წლების ზამთრის მოსკოვის ბრძოლას ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი უკავია. აქ გამოჩნდა, რომ საბჭოთა კავშირი, უდიდესი ზარალის მიუხედავად, არ გატეხილა. სასოწარკვეთისა და უიმედობის ხანას ცვლის საბოლოო წარმატების მტკიცე, ენერგიული რწმენა, რომ რუსეთის ველებზე განისაზღვრებოდა მსოფლიო ომის დასასრული.

ჯერ კიდევ ბევრი იყო მარცხი და წარუმატებლობა — 1942 წელსაც, 1943 წელსაც, 1945 წელსაც კი. მაგრამ საბჭოთა ჯარისკაცის წყალობით, რომელმაც გაუძლო განსაცდელს და შემდეგ გააკამეტვერა მტერი სტალინგრადში, ხერხემალი გადაუტეხა აგრესორს კურსკის რკალზე, გადალახა დნეპრი და ვისლა, ოდერი და დუნაი, უწინარესად შინ ნყალობით არ გამხდარა ევროპა და მსოფლიო მიზაკისფერი.

ომის გაკვეთილების განსჯისას ყოველთვის ჩაგვიფიქრებს, მაინც, რა ედო საფუძვლად ჩვენს გამარჯვებას.

მაშინ, 41-ში, სასწაულად გვეჩვენებოდა, რომ ჩვენმა ჯარებმა და მოლაშქრეებმა შეძლეს შეეჩერებინათ მძლავრი და ამაგი დროს გამარჯვების ქინინთ შეპყრობილი გერმანიის ჯარების დაჯგუფება ზედ დედაქალაქის კარიბჭესთან. განა სასწაულად არ აღიქვეს მსოფლიოში ფაშისტთა ჯარების განადგურება სტალინგრადთან! ბევრს ხომ ეგონა, რომ ვოლგასთან გერმანელების გასვლით, როცა უკვე მათ ხელში იყო ქვეყნის ევროპული ნაწილის ნახევარი, ჩვენი თავდაცვის რესურსები ამოიწურებოდა და სსრ კავშირის საბოლოო დამარცხება გარდაუვალი იქნებოდა.

ადამიანები, რომლებიც თავიანთ უკანასკნელ იმედებს ომიდან ფინაალმდეგ აღმდგარ რუსეთზე ამყარებდნენ, მოიცვა სასოწარკვეთილებამ და ამასთანავე ზზადაყოფნამ დამორჩილებოდნენ ათასწლოვანი „რაიხის“ ბატონობას. მით უმეტეს მოულოდნელი, მით უმეტეს განსაცვიფრებელი იყო ცნობა იმის შესახებ, რომ ჩვენმა ჯარებმა შეძლეს შეემუსრათ პაულუსის არმია და მის საშველად მომავალი მანშტაინისა და გოტის ჯაჯგუფებანი, ამით მოეხდინათ მიიღეული შემობრძენება მთელ მეორე მსოფლიო ომში.

ამ უჩვეულო მოვლენათა ხასიათის ჩვეულებრივი საზომით შეფასების შეუძლებლობამ შვა იმის გაგების ურიცხვი ცდები, თუ რა მძლავრმა ძალებმა, რა ნებამ განსაზღვრა ისინი. ამასთანავე ამას თან სდევდა ყოველგვარი ვარაუდები და გამონაგონი, მათ შორის ანგარებითი პოლიტიკური გაანგარიშებებით ნაკარნახევი.

ამავე მიზნებით იყენებდნენ მთელ იმ არგუმენტებს, რომლებითაც ცდილობდნენ თავის დროზე აეხსნათ რუსეთიდან ნაპოლეონის „დიდი არმიის“ განდევნა. ეს არის რუსეთის უკიდეგანო სივრცეებიც, რომლებიც აიძულებდა გაეჭიმათ ჯარების კომუნიკაციები, მოეწყვიტათ მოიერიშე ავანგარდი არმიათა ზურგისგან. ეს არის რუსეთის უგზოობაც. და „ბატონი ყინვაც“, რომელიც უცვლელად შველოდა რუსეთს.

ბოლო დროს სულ უფრო აქტიურ პროპაგანდას უწევენ თეზისს, თითქოს გამარჯვება უმთავრესად მოპოვებული იყო იმის წყალობით, რომ ჩვენ მზად ვიყავით მიგვეღწია მისთვის ნებისმიერ ფასად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არა ვაქაცობით, არა ნებისყოფით, არა ჭკუთა და გამჭრიახობით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ „დიდი სისხლით“.

ქვეტექსტი შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს: ტყუილად იცავდნენ მოსკოვსა და ლენინგრადს, კიევსა და ოდესას, სმოლენსკსა და სევასტოპოლს, ასობით სხვა ქალაქს. უნდა მიებაძათ დასავლეთ ევროპის „განათლებული“ ქვეყნების მაგალითისათვის, რომლებმაც ამჯობინეს გერმანელებისათვის ჩაებარებინათ თავიანთი ცენტრები, რათა არ გაეწიროთ ადამიანები, არქიტექტურა ულიძეგლები.

მაშინ ვის მხარეზე იქნებოდა ასეთ შემთხვევაში მეორე მსოფლიო ომში გამარჯვება?

მე კატეგორიულად უარყოფ ასეთ გამონაგონებს. ისინი მოწყვეტილია რეალობს, თავიანთი არსით შეურაცხმყოფელია. ჩვენი არმიისა და ხალხისათვის, სხვა ხალხების ანტიფაშისტური ბრძოლისათვის.

ეს სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს კვლავ უნდა დავადგეთ „ჩაყავე პატრიოტიზმის“ პოზიციებს და უარვყოთ ისტორიაში ყოველივე ის, რის დანახვაც არ გვინდა, რაც ლაბავს ჩვენს ღირსებას.

უდიდესი სინანულით უნდა ვაღიაროთ, რომ პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და სამხედრო სარდლობის აზროვნებაში ყოველთვის ვერ პოულობდა ადგილს მისწრაფება ნაკლები მსხვერპლის ფასად გადაეწყვიტათ სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანები. ზმირად, განსაკუთრებით პირველ ხანებში, ხერხს კი არა, ოონეს ამჯობინებდნენ. მილიონობით ადამიანის სიცოცხლედ დაგვიჯდა ომისათვის მზადების და დამპყრობთა მოგერიების ორგანიზაციის დროს დაშვებული შეცდომები.

ვფიქრობ კი, რომ გამარჯვება გადაწყვეტილად უზრუნველყო სხვა ფაქტორებმა. მათ შორის მთავარი იყო ის, რომ ომმა ქვეყნისათვის ჭეშმარიტად სახალხო ხასიათი შეიძინა.

ჰიტლერელი გენერლები დილეტანტები არ ყოფილან, ისინი მაღალი კლასის სამხედრო სპეციალისტები იყვნენ. თუ მათ ჯეროვნად ვერ შეაფასეს რუსეთის ყინვები, მხოლოდ იმიტომ, რომ ბლიცკრიგის იმედი ჰქონდათ. ეს ვარაუდები კი ეფუძნებოდა პოლიტიკურ განაგარიშებებს და უწინარესად — წანამძღვარს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ემყარებოდა მერყევ საფუძველს, არ ჰქონდა ხალხის მხარდაჭერა.

არსებითად ჰიტლერმა გასწია რისკი დაეწყო ომი ორ ფრონტზე, და ამით დაარღვია კლაუზევიცისა და ბისმარკის ანდერძი, მხოლოდ იმ რწმენით, რომ გერმანიის არმადის შეჭრა მაშინვე გამოიწვევდა ჩვენ საზოგადოებაში ორმაგ გათიშვას — სოციალური და ეროვნული ნიშნებით. არც ერთი, არც მეორე არ მომხდარა. მოხდა საპირისპირო — საბჭოთა ადამიანებში შეკავშირდნენ ყველასთვის საერთო უბედურების წინაშე, გონებითა და გულით აღიქვეს, რომ ეს იყო მათი ერთადერთი საშველი. ეს გახდა გერმანიის არმიის გარდაუვალი დამარცხების პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი წანამძღვარი. შემდგომ უკვე საქმე ეხებოდა მხოლოდ იმას, როდის და როგორ მოხდებოდა ეს.

რა თქმა უნდა, ჩვენს მრავალმილიონიან ქვეყანაში გამოინახნენ ადამიანები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებისადმი სიძულვილის თუ სულმოკლეობის გამო მტრის მხარეზე გადაბარგდნენ. უნაყოფო და სამარცხვინოა იმის ცდები, რომ გაამართლონ მოღალატეთა მოდგმა, წარმოსახონ ისინი სტალინური რეჟიმის უბედურ მსხვერპლად და ზოგჯერ იდეურ „თავისუფლებისათვის მებრძოლებად“. არ არსებობს უფრო ანაზღაური დანაშაული, ვიდრე ჩადგე მტრის სამსახურში და იარაღი აღმართო საკუთარ ხალხზე.

მაგრამ ის გათიშვა, რომელსაც ჰიტლერი და მისი თანამოაზრენი ვარაუდობდნენ, არ გამოვდა. ხალხს ჩამოშორდა და უღალატა არსებითად სულ მცირე ნაწილმა. მან გამოავლინა სულის იშვიათი ერთიანობა. თუ იყვნენ კიდევ შეურაცხყოფილნი და უკმაყოფილნი — ისინი კი საკმარისზე მეტი იყვნენ, — ყველა ეს წრენა, იქნებ, სიძულვილიც კი გვერდზე გადადეს. რადგან ყოველი ნორმალური ადამიანისათვის ყველაზე მაღლა დგას თავისი სამშობლოს, თავისი მამაპაპეული სახლის, დედისა და შვილის დაცვა.

ერთ რიგში დადგნენ მილიონობით მშრომელნი, რომლებმაც მოიგეს რევოლუციის შედეგად, საბჭოთა ხელისუფლება მიაჩნდათ შმობლიურ ხელისუფლად, და ისინიც, ვისაც ამ რევოლუციამ ჩამოართვა ქონება და მდგომარეობა, ვისაც მან ყველაფერი წაართვა.

ერთ რიგში დადგნენ ისინი, ვინც ქედს იხრიდა სტალინის, როგორც მხსნელის წინაშე, და ისინიც, ვინც სწყევლიდა მას, როგორც ტირანს. „პირველი ტალღის“ ათასობით ემიგრანტმა, მუშურ-გლეხური რევოლუციის შეურიგებელ მოწინააღმდეგეებად რომ რჩებოდნენ, თავის ღირსების საქმედ მიიჩნია დახმარებოდა სამშობლოს მისთვის. საბედისწერო ჟამს.

ზუსტად ასევე ვერ გამართლდა ფაშისტ სტრატეგთა ვარაუდები, რომ ჩამოვარდებოდა ეროვნული განხეთქილება. ისტორიული ფაქტია, რომ ომის დროს ჩვენმა ქვეყანამ არ იცოდა ეროვნული შუღლი. საერთო უბედურებამ დაალხვია ყველა, ათასობით კილომეტრი სიგრძის ფრონტებზე ჩვენს საერთო მიწა-წყალს იცავდნენ აქ მცხოვრები ასზე მეტი ხალხის წარმომადგენლები.

ლტოლვილნი და ევაკუირებულნი ჭერსა და თავშესაფარს პოულობდნენ შობლიური კერებიდან ათასობით კილომეტრზე: ვოლგისპირეთსა და ურალში, ჩრდილოეთსა და ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში, ყაზახეთსა და უზბეკეთში, ყირგიზეთსა და ტაჯიკეთში, აზერბაიჯანსა და თურქმენეთში, საქართველოსა და სომხეთში. დაობლებულ ბავშვს არ ეკითხებოდნენ შობლების ეროვნებას: რუს, უზბეკ, თათარ, ბაშკირ ქალს მიჰყავდა იგი ოჯახში, ზოგჯერ ისედაც წვრილშვილიანში, და დედობას უწევდა ხას.

ჩვენში არიან იმის გამოანგარიშების მოყვარულნი, თუ რომელი ერი დგას პირველ ადგილზე საბჭოთა კავშირის გმირებისა და დიდების ორდენთა სრული კავალრების რიცხვით. მე არ მოვყვები ასეთ გამოანგარიშებას, და დღეს დიდ მადლობას მოვახსენებ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს, რომლებმაც ერთად დაცვეს ჩვენი დიადი მრავალეროვანი ქვეყნის დამოუკიდებლობა.

პარტიამ და ქვეყანამ აღგავეს და დაგმეს სტალინური თვითნებობა ზოგიერთი ხალხის მიმართ, რომლებსაც უსაფუძვლოდ დაბრალეს მტერთან თანამშრომლობა. დიახ, მოღალატეთა შორის იყვნენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, მაგრამ სინამდვილეში არ იყო არც ერთი ერი, რომელიც მოწინააღმდეგის მხარეზე გადაბარგდებოდა.

დღეს უნდა გავიხსენოთ გამარჯვების კიდევ ერთი გადამწყვეტი ფაქტორი — ეს არის ჩვენი პარტიის ორგანიზატორული საქმიანობა.

დღეს, როცა დღის წესრიგშია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, როგორც პოლიტიკური ავანგარდის როლის აღდგენა ლენინური გაგებით, უარიანია საგანგებოდ ითქვას, რომ წარსულში პარტია არასოდეს არ გამოსულა ესოდენ სრულად სწორედ ამ სახით, როგორც რევოლუციის შემდეგ პირველ წლებსა და დიდი სამამულო ომის პერიოდში.

კომუნისტთა ოთხმოცი პროცენტი შეიარაღებული ძალების რიგებში იყო. მათგან სამი მილიონი, ფაქტობრივად ყოველი მეორე, ბრძოლებში დაიღუპა. ჰიტლერმა ბრძანება გასცა კომუნისტები არ წაეყვანათ ტყვედ, დაეხვრიტათ ადგილზე — ფაშისტ სტრატეგებს მშვენივრად ესმოდათ, რომ პარტია ის ძალაა, რომელიც სათავეში უდგას დაშყარობებისადმი საყოველთაოსახალხო წინააღმდეგობას, გამარჯვების რწმენას უნერგავს ადამიანებს.

იმ კომუნისტებზე ნაკლებად, რომლებსაც იერიშზე მიჰყავდათ მებრძოლები, როდი უნდა ვუმადლოდეთ ჩვენი პარტიის წევრებს, რომლებიც თავიანთი მხრებით ეზიდებნენ ტვირთს ზურგში, იმათ, ვინც რაზმავდა ადამიანებს შრომისათვის საწარმოებში, მშენებლობებზე თუ შორეულ სოფლებში, როგორც შეეძლო, ცდილობდა დაეცვა სუსტი. გაემხნევებინა უბედური, სასოწარკვეთილი ადამიანები.

დღეს ჩვენ შორის 6 მილიონამდე ფრონტელია, მათგან მილიონ 100 ათასი ინვალიდი. და დაახლოებით 23 მილიონი, ვინც ომის წლებში შრომობდა ზურგში. ყველა ისინი ჩვენს ეუდიდეს მადლიერებას იმსახურებენ. მდაბლად ვხრიდ მათ წინაშე თავს.

ფრონტელთა თაობა, გამოიარა რა ომის ჯოჯოხეთის ყველა წრე, ომის შემდეგაც ღარიბად, ხშირად მშიერ-მწყურვალი, კომფორტული ბინებისა და ბარაკების სივიწროვეში ცხოვრობდა, იტანჯებოდა და კვდებოდა ჭრილობებისაგან, ძლიერ ძლივობით უბრუნდებოდა სკოლის მერხებს და სტუდენტურ აუდიტორიებს, სათავეში უდგებოდა რაიკომებს, სასოფლო საბჭოებს, ბრიგადებს, გაღატაკებულ კოლმეურნეობებს. ყველას, ვინც სწავლობდა და მუშაობდა ფრონტელებთან, შეეძლო ესწავლა მათგან სიკეთე, და უწინარეს ყოვლისა, ცხოვრებისადმი, საქმისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება, სინდისიერება.

ომმა წარმოაჩინა მაშინდელი ჩვენი საზოგადოების წინააღმდეგობათა სიღრმეც. უკვე ომის დროს გამოჩნდა მმართველობის იმ სისტემის, ეროვნული, სოციალური და პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის იმ ხერხების კრიზისი, რომლებიც ახასიათებდა ოცდაათიან წლებში დამკვიდრებულ ხელისუფლების დიქტატორულ უკონტროლო რეჟიმს.

ახლა არცთუ იშვიათად სვამენ კითხვას: როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ქვეყანა, რომელმაც ომი მოიგო, და მისი გამარჯვებული ხალხი უარესად ცხოვრობენ, ვიდრე დამარცხებული. პასუხი ის არის, რომ მხრბგაშლილი ხალხი და განთავისუფლებული ადამიანი, რომლებმაც მოიპოვეს გამარჯვება, კვლავ შებოჭა მკაცრმა ავტორიტარულმა სისტემამ.

გამოიარა რა ფრონტის გზები, მრავალმა ადამიანმა პირველად შეიგნო ან ეჭვი შეიტანა იმაში, რომ ჩვენი ქვეყანა არცთუ ისეთი მოწინავეა, როგორც მათ არწმუნებდნენ. ომიდან დაბრუნებულნი, ისინი თავს გრძნობდნენ ჭანჭიკებად და არ სურდათ ყოფილიყვნენ ჭანჭიკები. ღირსებისა და თავისუფლების ამ გრძნობამ პირველად პოვა გამოსავალი მხოლოდ პარტიის XX ყრილობის შემდეგ. და გარდაქმნის მთავარი მიზანია სრულად ააღორძინოს პიროვნების პატივისცემა, ადამიანის ფასი, გამოათავისუფლოს მისი შემოქმედებითი შესაძლებლობანი.

კვლავაც უნდა გავიაზროთ დიდი სამამულო ომის მოვლენები. ბევრი რამ გაკეთეს ჩვენმა მწვრლებმა, მხატვრებმა, კინომატოგრაფისტებმა, რომელთა საუკეთესო ნაწარმოებებში აისახა ომი, ხალხის ხსოვნა, ადამიანის ბედი. ჯეროვნად უნდა შევაფასოთ ლიტერატურა: ბევრი რამ მან ისტორიულ მეცნიერებაზე უფრო ადრე და უფრო გაბედულად თქვა და საზოგადოებრივი ყურადღება შემობრუნა ომის ჭეშმარიტი გმირის — ხალხისაკენ.

ჩვენ აღვმართეთ მრავალი მონუმენტი გამარჯვებისა და გამარჯვებულთა პატივსაცემად. მათ დღესაც აღვმართავთ. მაგრამ არა არის რა უფრო მნიშვნელოვანი რამ, ვიდრე ზრუნვა ცოცხალ გამარჯვებულებზე, დაღუპულთა დედებსა და ქვრივებზე. რა გაკეთდა აქ ამ ბოლო ხანს?

ორი წლის წინათ 4 მილიონამდე ომისა და შრომის ვეტერანმა მიიღო სხვადასხვა შეღავათი და უპირატესობა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფაში. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობის გადაწყვეტილებით გაიზარდა მინიმალური ასაკობრივი და ინვალიდობის პენსიები. დაღუპულთა ოჯახებზე გავრცელდა ომის მონაწილეთათვის დაწესებული შეღავათები. ახლახან მთავრობამ შემოიღო დამატებითი შეღავათები და უპირატესობანი ომის ვეტერანების და ზურგის მშრომელებისათვის, გამონახა რა ამისათვის დაახლოებით მილიარდი მანეთი.

ვეტერანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ხელს შეუწყობს ახალი კანონები მოქალაქეთა და სამხედრო მოსამსახურეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ ძალიან, ძალიან ცოტაა. მრავალი ფრონტელი და მათი ოჯახები ჯერ კიდევ ელიან ბინებს, ტელეფონის დადგმას, სჭირდებათ ექიმი, წამლები, სხვა აუცილებელი რამ.

ახლა უნდა გამოვიყენოთ სახალხო დეპუტატთა ხელახლა არჩეული საბჭოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, შრომითი კოლექტივების შესაძლებლობანი ყველა ამ საკითხის გადასაჭრელად. მათს განკარგულებაში შემოდის დიდძალი სახსრები. უნდა გავაფართოოთ ვეტერანთა კლუბებისა და სახლეობის მივაღებინოთ ყველა მსურველს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, შეძლებისდაგვარ შრომაში. ეტყობა, სწორი იქნება შევქმნათ საბჭოების შემადგენლობაში ვეტერანების საქმეთა სპეციალური კომისიები.

ფრონტელთა თაობისათვის, საშობლოს მხსნელისათვის ზრუნვა და მათდამი ყურადღება ჩვენი საერთო ზნეობრივი მოვალეობაა. ვიმეორებ, ამას ყველა დაეთანხმება.

* * *

ამხანაგებო! სსრ კავშირზე გერმანიის თავდასხმამ მკვეთრად შეცვალა მეორე მსოფლიო ომის არა მარტო მიმდინარეობა, არამედ ხასიათიც. დაისვა საკითხი — როგორ შევუხამოთ იდეურ-პოლიტიკური მრავალსმიანობა ძალების გაერთიანების მოთხოვნილებას საერთო საფრთხის თავიდან ასაცილებლად? ცხოვრება დოგმებსა და ცრურწმენებზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა. სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი არ მერყეობდნენ: გვერდზე უნდა გადავდოთ ძველი დავა. შეიქმნა ანტიჰიტლერული კოალიცია — მეორე მსოფლიო ომის უნიკალური პოლიტიკური მიღწევა.

ნუ გავამარტივებთ. რეალურად თანამშრომლობა ზოგჯერ უაღრესად წინააღმდეგობრივად, არათანაბარზომიერად, არათანასწორუფლებიანად ყალიბდებოდა. საბჭოთა კავშირს მოუხდა ეზიდა გერმანიასთან ბრძოლის ძირითადი ტვირთი, ჩვენ ძვირად დაგვიჯდა „მეორე ფრონტის“ გახსნის გაჭიანურება, რომელიც აიხსნება არა მარტო მოკავშირეთა ობიექტური სიძნელეებით, არამედ საკუთარი ძალების „დაზოგვის“ ვარაუდითაც.

მაგრამ დღეს მინდა სხვა რამ ვთქვა.

ანტიჰიტლერული კოალიცია მოწმობს სხვადასხვა სოციალურ სისტემას შორის წინააღმდეგობათა პრიმიტიული, გამარტივებული გაგების უბადრუკობას. ისტორიულმა რეალობამ გამოავლინა მეტაფიზიკური სქემების გამოუსადეგარობა. გამორიკვა, რომ ძალთა განაწილებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიისა და რეაქციის დაპირისპირებას.

მეორე მსოფლიო ომში გამარჯვება ყველა იმ საზელმწიფოს და ხალხის საერთო დამსახურება და ერთობლივი კაპიტალია, რომლებმაც იპოვეს ერთმანეთი აგრესიისა და ბნელეთის მოციქულთა ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში. ანტიჰიტლერულ კოალიციაში თავდაპირველად შევიდა 26, ხოლო ომის დამლევს — 50-ზე მეტი სახელმწიფო. მათგან ყველამ ერთნაირი წვლილი როდი შეიტანა გამარჯვებაში. არის ქვეყნები, რომელთათვან ბრძოლებში მონაწილეობდნენ მოხალისეთა პატარა-პატარა რაზმები. მაგრამ ისინი ჩვენთან ერთად იყვნენ, და ამას ვერასოდეს ვერ დავივიწყებთ.

გამარჯვების გაყოფა არათუ უზნეობა, არამედ აგრეთვე პოლიტიკურად უბადრუკობა. ეს ეგოიზმისა და შეზღუდულობის ისეთივე გამოვლინებაა, როგორც ცდები ჩვენს ფიზიკურ „გადავინარჩუნოთ“ უშიშროება მხოლოდ საკუთარი თავისათვის და უგულებელყოთ სხვათა კანონიერი ინტერესები, მათი ასეთივე უშიშროების უფლება.

სამწუხაროდ, მსოფლიო პოლიტიკაში ახალი აზროვნების ყლორტებს, ისევე როგორც სოფლის ყანაში, არცთუ იშვიათად ახშობს სარეველა.

ჯერ კიდევ საბოლოოდ არ აღმოფხვრილიყო საშინელი საფრთხე, რომელმაც ანტიჰიტლერული კოალიციის მონაწილენი მიიყვანა საერთო სამხედრო ბანაკში, ჰორიზონტზე კი უკვე გამოჩნდა ურთიერთეჭვიანობისა და უნდობლობის ღრუბლები. გუშინდელი მოკავშირეები მოსისწრე მტრები ხდებოდნენ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში დამფუძნებელმა სახელმწიფოებმა განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავიდან ააცილონ მომავალ თაობებს ომის უბედურებანი, გამოიჩინონ შემწყნარებლობა და იცხოვრონ ერთად, მშვიდობიანად, როგორც კეთილმეზობლებმა. მაგრამ ხელისუფლებმა არ მოინდომეს, ხალხებმა კი ვერ შეაჩერეს იარაღის წარმოება. იმ მომენტიდან, რაც ტრუმენმა პოტსდამში სტალინს აცნობა, რომ შეერთებულ შტატებს აქვს ატომური ბომბი, ისტორიკოსები იწყებენ გამალებული ბრძოლა ისტორიის.

XX საუკუნის უდიდესი ტრაგედია გახდა კაცობრიობისათვის ის, რომ მილიტარიზმის დემონი არ იყო განადგურებული „ღერძის“ სახელმწიფოთა დამარცხებით. იგი გადარჩა და მსოფლიო უსასრულო და დამანგრეველ კოფრონტაციაში ჩაითრია.

მეორე მსოფლიო ომი, ისევე როგორც მისი პირმშო — „ცივი ომი“ გახდა მოლოხისათვის უმაგალითო და უაზრო მსხვერპლის შეწირვა, თუმცა ამას მაშინვე ვერდი მიხვდნენ.

ჩვენ ყველამ ვიცით, რომ საბჭოთა ტერიტორიაზე ფაშისტების მიერ მოყენებული ნგრევა ძირითადად ლიკვიდირებული იყო 50-იანი წლების შუა ხანებში. ნანგრევებიდან აღდგა კიევი, მინსკი, სევასტოპოლი, სტალინგრადი, როსტოვი, სმოლენსკი, ათობით და ასობით სხვა სულ მთლად დანგრეული ქალაქები. აღდგა და განვითარდა ქვეყნის სამრეწველო პოტენციალი. ჩვენ პირველებმა შევაღწიეთ კოსმოსში.

იმ დროის ოფიციალურ დოკუმენტებსა და პუბლიცისტიკაში გაისმოდა აზრი, რომ საბჭოთა კავშირის მიერ გაწეული კოლოსალური დანაკარგების მიუხედავად იგი ომიდან გამოვიდა გამაგრებულ, უმაგალითოდ მძლავრ სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ საზელმწიფოდ.

ამ მტკიცებებს ასაბუთებდნენ უეჭველი ციფრებით — მილიონობით ტონა ლითონთან, ქვანახშირთა და ნავთობით, მარცვლეულთა და ბამბით, მილიარდობით კილოვატსაათი ელექტროენერგიით.

ომის შედეგად დანაკარგების რეესტრი თითქოსდა დახუულად იყო მიჩნეული. მაგრამ „ცივი ომის“ პირობებში უზარმაზარი სიმდიდრე, რომელსაც ხალხი ქმნიდა და რომელიც მისი კეთილდღეობის წყარო უნდა გამხდარიყო, მნიშვნელოვანწილად ხმარდებოდა შეიარაღების ზრდას, მას ნთქავდა სამხედრო ხარჯები. ეს გახდა ერთ-ერთი ფაქტორი, რომელმაც ჩვენი ეკონომიკა შეაარყია და ქვეყანა დღევანდელ კრიზისამდე მიიყვანა.

გამალებული შეიარაღების შედეგი გახდა შეუქცევადი უბედურება — ადამიანთა მოდგმამ დაკარგა უკვდავება. სავსებით რეალური გახდა ატომკალფსის რეალური საფრთხე ბირთვული ომის ჯოჯოხეთური მექანიზმის კანონზომიერი თუ შემთხვევითი ამოქმედების შედეგად. მას გაუთანაბრდა ბუნებრივი გარემოს ნგრევის, მსოფლიოს განვითარებულ და განვითარებადს ნაწილებს შორის განხეთქილების, სულიერი სიბერწისა და ზნეობრივი გამოფიტვის შედეგად კატასტროფის საფრთხე.

მაგრამ თვალი უნდა გავუსწოროთ საშიშროებებს და არ ჩამოვუშვათ ხელები. ცივილიზაციის დამცველი ძალები უზარმაზარია. ისინი სავსებით საკმარისია ომისთვის, რომ არ დაეუშვათ მესამე მსოფლიო ომი და თავიდან ავიცილოთ სხვა საფრთხე. ოონდ საჭიროა გონიერება, კეთილი ნება, პასუხისმგებლობა და ისტორიიდან გაკვეთილების გამოტანის უნარი.

უმნიშვნელოვანესი გაკვეთილი, რომელსაც ომის ისტორია იძლევა, ასეთია: თუ გვინდა გადარჩენა, კაცობრიობა უნდა გაერთიანდეს და განიარაღდეს.

დღეს უნდა გავიხსენოთ: პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ოცი წელიც არ გასულა, რომ დედამიწის სხვადასხვა წერტილში გაჩნდა ახალი მსოფლიო ომის საშიში კერები — ეთიოპიასა და ესპანეთში, ჩინეთში და ხალხინ-გოლზე. მალე კი მისი ალი მისწვდა ტირანასა და ვარშავას, პარიზსა და ლონდონს, ბელგრადსა და ათენს, ჩვენს სამშობლოს.

გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტია — ასე უწოდდნენ თავიანთ თავს გერმანელი ფაშისტები — სათავეში ჩაუდგა ხელისუფლებას, გამოიყენა რა ბურჟუაზიული დემოკრატიის მექანიზმები, ესე იგი ფორმალურად ლეგალური გზით. თავიანთ პრაქტიკაში ფაშისტები ფართოდ იყენებდნენ სოციალურ დემაგოგიას, სოციალური უსამართლობის, უმუშევრობის, „ზედა ფენების“ კორუფციერების კრიტიკას. გასავალი ჰქონდეს ფსევდორევოლუციურ ფრაზას, რომელიც ორიენტირებული იყო ყველაზე, ვინც „ვიომარის დემოკრატიით“ უკმაყოფილებას გამოთქვამდა, მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ლუმპენებზე, უმუშევრებზე, წვრილ ბურჟუებზე.

იმედს ამყარებდნენ ყველაზე მდაბალი გრძნობების გაღვივებაზე, შოვინიზმსა და რასიზმზე, ძალის კულტსა და აგრესიულ უმეცრებაზე. ლანძღვა, ყვირილი და ძალმომრეობა გახდა გამორჩეული არგუმენტები, ხოლო პანგერმანიზმის, რასობრივი სიწმინდის, მსოფლიო ბოლშევიკური შეთქმულების იდეები — მასობრივი იდეოლოგიური ფსიქოზების სტიმულატორები.

მიმდინარეობდა ხალხის შეგნების ისტორიაში უმაგალითო გაჩყვნა. მონობოილებმა, რომლებმაც გამოზარდეს ნაციზმი მუშათა მოძრაობასთან, სოციალიზმთან ბრძოლის მიზნით, აშკარად ჯეროვნად ვერ შეაფასეს ჰიტლერულ იდეოლოგიაში დაბუდებული საფრთხე მთელი კაცობრობისადმი, ცივილიზაციის ნორმებისადმი.

მეოხნენის, აგრესორის „დაშმშინების“, უპრინციპო სპარატისტული გარიგებებისა და საიდუმლო ოქმების პოლიტიკას, როგორც ცნობილია, კარგი არაფერი მოჰყოლია.

ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნშნავ: 1941 წლის 22 ივნისმა გაავლო ისტორიულად აუცილებელი სადემარკაციო ხაზი დემოკრატებსა და ფაშიზმს, ჰუმანიზმსა და არაადამიანურობას შორის, გამოიწვია სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა უახლოეს ისტორიაში პირველი ცდა დამდგარიყვნენ თავიანთ სოციალურ-ეკონომიკურ განსხვავებაზე მაღლა ზოგადსაკაცობრიო ინტერესებისა და ღირებულებების საკეთილდღეოდ.

ომმა ცხადყო დედამიწის დემოკრატიული ძალების უნარი შეკავშირებულიყვნენ საერთო სასიკვდილო საფრთხის წინაშე. მის ამ შედეგს წარუვალი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, ვინც ისტორიულად გარდამტეხ, პასუხსაგებ ხანაში ვცხოვრობთ.

აქედან გამომდინარეობს თანამედროვე პოლიტიკისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი დასკვნა: თუ „დიდ პოლიტიკას“ მსხვერპლად ეწირება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებანი, მსოფლიო კატასტროფები გარდაუვალია. ეს მწარე ისტორიული გაკვეთილი უნდა ავითვისოთ. და არა მარტო ჩვენ.

მშვიდობის სოფიუნო ნაგრგა ახლა, ალბათ, პირველად ისმამს ხორცს. თანამედროვე ცივილიზაციის მზარდ მთლიანობაში, ქვეყნებისა და ხალხებს, პოლიტიკური და სოციალური სისტემებს, მთელი ინტერესებისა და მისწრაფებების ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, ინფორმაციულ კავშირურთიერთობასა და დამოკიდებულებაში. თანამედროვე პრობლემების კვანძები უკვე შეუძლებელია გახსნა იარაღის მეშვეობით — ეს ყველას კარგად უნდა ახსოვდეს. საჭიროა მოთმინებით გაგრძელდეს მთელ ამ ჩახლართულ საქმეებში და ამასთან პატივი ვცეთ ყველას ინტერესებს, რაც მთავარია, დავიცვათ უზეწაესი ღირებულება — ადამიანის სიცოცხლე.

მსოფლიოში, განსაკუთრებით ევროპაში, ახლა ობიექტური წანამძღვრები იქმნება უშიშროების ახალი მოდელისათვის, განიარაღების დარგში ნაცვალების საფუძველზე თანამიმდევრული ნაბიჯების გადადგმისათვის. ამასთანავე ჩვენ, რა თქმა უნდა, ყურადღებით ვადევნებთ თვალს იმას, რომ ზიანი არ მიადგეს ჩვენს თავდაცვისუნარიანობას. ნურავინ ნუ იქნება საბჭოთა კავშირის ცალმხრივი განიარაღების იმედად.

ნელა, მაგრამ დაუოკებლად იკაფავს გზას ევროპაში „ზებოლკური“ და „სისტემისგარე“ ჭეშმარიტებანი, და გვიწევს დიალოგისათვის იარაღის ყღარუნის ნაცვლად.

სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები, საერთო-ევროპული ტაბიჯის დამთავრებით და სხვა ეტაპის დაწყებით. უდავოა, რომ ჩვენ ახლა დავადექით ევროპისა და მსოფლიო ინტეგრაციის ახალ, მრავლისაღმთქმელ ეტაპს. მაგრამ ასევე უდავოა ისიც, რომ ეს შესაძლებელი გახდა მსოფლიო ბრძოლის პოლიტიკური შედეგების არა უარყოფის, არამედ პირქით, დიალექტიკური ათვისების წყალობით, ბრძოლისა, რომელშიც დემოკრატიამ დაამარცხა რეაქცია.

ჩვენ მომზრე ვართ ევროპისა, სადაც ხალხები, პუშკინის სიტყვებით რომ ვთქვათ, დაიგწყებენ შუოლა და ერთიან ოჯახად შეერთდებიან. შეიძლება თუ არა მივაღწიოთ ამას? სავსებით შესაძლებელია, თუ „საერთო-ევროპულ

პარტიის ოცდამეერვე ყრილობის შესახვედრად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაგრძელებთ სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფისა და ფენის წარმომადგენელთა ანკეტურ გამოკითხვას პარტიის XXVIII ყრილობის წინ. ბუნებრივია, კვლავინდებურად სჯა-ბაასი მიმდინარეობს უაღრესად აქტუალურ საკითხებზე, რომლებსაც ცხოვრებისეული პრაქტიკა აყენებს.

1. როგორ აფასებთ პარტიაში შექმნილ ამჟამინდელ ვითარებას, რა მიგაჩნიათ კრიზისული მოვლენების დაძლევის ქმედით საშუალებად, რას გავემიჯნთო, ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის რომელი ფორმები და მეთოდები მიგაჩნიათ ყაელგადასულად, რას შემოგვთავაზებდით მათს სანაცვლოდ?

2. ბოლო დროს ბევრი პარტიული თუ სხვა ხელმძღვანელი განთავისუფლდა სამუშაოდან თვით მოსახლეობისა თუ სხვადასხვა დაჯგუფებათა აქტიური ჩარევის შედეგად. როგორ აფასებთ ამგვარ აქციებს?

3. როგორ გესმით პარტიის განახლების პროცესი, მომნიფდა თუ არა თვით პარტიის სახელწოდების შეცვლის იდეა, დეფორმაციებიდან რას გამოყოფდით უპირატესად, როგორც საზოგადოებრივად საშიშს, შეიძლება თუ არა კომუნიზმი მივიჩნიოთ უმაღლეს მიზნად, როგორ შეესაბამება ფასეულობათა ხელახალი შეფასების ტემპები საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარებას, რა აზრისა ხართ პარტიის ახალი წესდების პროექტზე?

4. როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს კომუნისტური პარტიის დამოუკიდებლობა, კერძოდ, რა კავშირურთიერთობა შეიძლება არსებობდეს ცენტრთან?

თქვენი აზრით, რა გადამჭრელი ზომების მიღებაა საჭირო ეთნოკრიზისების დასაძლევად?

5. პირადად თქვენ როდის და რატომ შეხვედით პარტიაში (რატომ არ შეხვედით, რატომ გამოდით პარტიიდან), გაგიმართლათ თუ არა იდეალმა, რისი გწამთ, რომელ პარტიაში ყოფნას ამჯობინებდით მრავალპარტიულობის პირობებში?

არნოლდ ჟვანია,

პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველი მდივანი:

1. ამჟამად კომუნისტურ პარტიაში შექმნილია კრიზისული ვითარება. ლამის ჯვაროსნული ომია გამოცხადებული კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. გაუგებარია, ვის უნდა ვეომოთ, განა პარტია არ ჩაუდგა სათავეში ბარდაქმნას? განა საჯაროდ არ ითქვა, რომ საზოგადოების განახლებასთან ერთად საჭიროა პარტიის განახლებაც. კომუნისტური პარტია ხომ თვითონვე მიხვდა თავის შეცდომებს და ცდილობს მის გამოსორებას.

ამ მოვლენების დაძლევის ყველაზე ქმედით საშუალებად მიმაჩნია პარტიული ცხოვრების სრული დემოკრატიზაცია, ყველაფერი უნდა კეთდებოდეს საჯაროობის ვითარებაში, მასებისაგან დაუფარავად. საჭიროა გავემიჯნოთ მეტისეტ ცენტრალიზაციას, რაც ახლის პირველადი და ძირეული ორგანიზაციების თაღსნობას და ხელს უწყობს ბიუროკრატიული მართვის სტრუქტურის დამკვიდრებას, საკადრო პოლიტიკისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიულ, ეგრეთ წოდებულ ნომენკლატურულ მიდგომას, სახელმწიფო, საზაურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაში პარტიული ორგანოების უშუალო ჩარევას, მათი ფუნქციების შესრულებას.

ყველგასულად მიმაჩნია პარადოქსი და არაფრისმომცემი საზეიმო სხდომები, მანიფესტაციები, გარეგანული ეფექტის მქონე ლოზუნგებები, მოძველებული ფრაზებისა და ლოზუნგებისაგან შემდგარი თვალსაჩინო აგიტაცია, ყოველ საწარმოსა და კოლექტივში ეკონომიკური და პოლიტიკური განათლების სისტემის სკოლების ფუნქციონირება.

უნდა გაძლიერდეს პირველადი პარტიული ორგანიზაციების ავტორიტეტი. კომუნისტები აღშფოთებული არიან იმის გამო, თუ რატომ თმობს პოზიციებს კომუნისტური პარტია, მოითხოვენ მიეცეთ მათ საწრო მიმართულება, უარყოფითად აფასებენ ისეთ მოსაზრებებს, თითქოს შეცდომა ყოფილიყოს ოქტომბრის რევოლუცია, შემდეგ მომდევნო საზოგადებრივი ბრდაქმნები, სამამული ომი, აღდგენითი პერიოდი. ამისათვის საჭიროა საჯაროდ შეეფასოთ წარსული, აღარ გავიმეოროთ შეცდომები, უშუალოდ კომუნისტების მონაწილეობით გადაწყვეტოთ პარტიის განახლების საკითხები. საჭიროა ეროვნული ინტერესების საქმიანობას, მათ თვისებებს და მოსახლეობაზე ადრე თვითონ იღებნენ საჯარო ბრძოლა ეროვნული ინტერესებისა, სადაც ამას მასები პარტიულ ორგანოებზე ადრე აკეთებენ, იქ პარტიული ორგანოები ჩამორჩენიან ცხოვრებას და სხვა ძალები ასრულებენ პოლიტიკური ავანგარდის როლს.

ყოველი ასეთი ფაქტი ღრმა და საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს. თუ კეთილსინდისიერ ხელმძღვანელს უპირისპირდება ვიეზრო, პირადი ამბიციების მქონე ჯგუფი, რომელიც თავის პოზიციას მასების პოზიციად ასაღებს, მაშინ საჭიროა ახსნა-განმარტებითი მუშაობა და ხალხზე დაყრდნობით ასეთი პოზიციის უარგადება, ხელმძღვანელისადმი აქტიური მხარდაჭერა.

3. პარტიის განახლების პროცესი მესმის, როგორც აუცილებელი და დროით ნაკარნახევი, რომლის არსია ქვეყანასა და მსოფლიოში სწრაფად ცვალებადი პოლიტიკური ვითარების შესაბამისად მოქმედება. მისი სახელწოდება მარქსისა და ენგელსის პირველ საპროგრამო დოკუმენტზე დაყრდნობით შემოთავაზებული იყო თვით ვ. ი. ლენინის მიერ და იგი ყველაზე ნათლად ასახავს პარტიის საბოლოო მიზანს, პერსპექტივას, რომელზეც ჩვენი პარტია უარს არ ამბობს. და თუმცა შეიცვალა შეხედულება კომუნისტურ საზოგადოებაზე, განსაკუთრებით მისი დამკვიდრების დროის თვალსაზრისით, მაინც, ჩემი აზრით, საზოგადებრივი განვითარება ისტორიულად ხანგრძლივი დროის შემდეგ კაცობრიობას აუცილებლად მიიყვანს ამ უმაღლეს მიზნამდე.

პარტიის ახალი წესდების პროექტი უდავოდ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია ორგანიზაციული განახლების გზაზე. იგი მნიშვნელოვნად განტვირთულია ზედმეტი ფრაზისაგან. საკითხებისაგან. მასში არ არის ყველაფრის მკაცრად რეგულირების პრეტენზიები. ამოღებულია ბევრი მოძველებული დებულება, რომელმაც ვერ გაუძლო დროის გამოცდას და მხოლოდ ფორმალურად არსებობდა. ეს ეხება უპირველეს ყოვლისა საკანდიდატო სტაჟის გაუქმებას, პარტიაში მიღების, პარტიიდან გარიცხვისა და გასვლის საკითხების მოლიანად პირველადი ორგანიზაციებისათვის დაკისრებას, პარტიის წევრობის შეწყვეტას, სააღრიცხვო ბარათში შეტანით სასჯელის გაუქმებას, ალტერნატიულ საფუძველზე არჩევნების ჩატარებას, არჩევით თანამდებობაზე ყოფნის ვადის შეზღუდვის დაკანონებას. მნიშვნელოვნად ფართოვდება პირველადი პარტიული ორგანიზაციების უფლებები და დამოუკიდებლობა. მისასალმებელია ცალკე თავის შემოთავაზება მოკავშირე რესპუბლიკების კომუნისტური პარტიების შესახებ და ა. შ. ერთი სიტყვით, გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა, მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ პროექტია, საყოველთაო განხილვის შედეგად იგი კიდევ უფრო დაიხვეწება, გთვალისწინებულ იქნება შენიშვნები და წინადადებები და სკკპ XXVIII ყრილობაზე შესაძლებელი იქნება ისეთი სრულყოფილი დოკუმენტის მიღება, რომელიც შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

4. არა მგონია დღეს საღად მოაზროვნე ქართველი კაცი ერთიანი პათოსის გარეშე ცხოვრობდეს. ჩვენი უზენაესი მიზანია პარლამენტური გზით საქართველოს მიერ რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის მოპოვება, ეკონომიკის, სოციალური პოლიტიკის, ეკოლოგიის, დემოგრაფიის, და სხვა სფეროებში არსებული მწვავე პრობლემების გადაწყვეტა. ყველა ამ საკითხის მოწესრიგებას პარტიის ძალისხმევა სჭირდება.

დღევანდელ ეტაპზე საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის შექმნას არ ვეუბნერ მხარს. მოგეხსენებათ, საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა. მის ტერიტორიაზე კომპაქტურად სახლობენ სხვადასხვა ერები. ამიტომ მოსალოდნელია, რომ საქართველოს კომუნისტურ პარტიაში გაერთიანდებიან ძირითადად ქართველები, სხვანი კი, უპირატესად სკკპ პლატფორმაზე მყოფ კომუნისტურ პარტიაში დარჩებიან. ჩემი აზრით, ეს საკითხი კიდევ უფრო დაძაბავს რესპუბლიკაში დღემდე გადაუჭრელ ეთნოკრიზისებს.

უპირველეს საკითხად მიმაჩნია ეთნოკრიზისების გამიმწვევი მიზეზების საფუძვლიანი შესწავლა, მათი ინსპირატორების მიმართ უმკაცრესი და უკომპრომისო სამართლებრივი რეაგირება, რაც საშუალებას მოგვცემს აღდგეს ერებს შორის ადრე არსებული ურთიერთობა. ამ საკითხის მოგვარების შემდეგ მიზანშეწონილად მიმაჩნია მხარი დავუჭიროთ საქართველოს კომუნისტური პარტიის დამოუკიდებლობას.

5. სკკპ რიგებში 1973 წელს შევედი. მაშინ თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების საქსოვი საამქროს ცვლის ოსტატად ვმუშაობდი. გაერთიანების პარტიული ორგანიზაცია თავის რიგებში მოწონებავთა შორის მოწონებავ მუშა-მოსამსახურეებს აერთიანებდა. ჩვენი პარტიული კომიტეტი წარმოადგენდა ისეთ სოლიდურ ძალას, რომელსაც დირექცია დიდ ანგარიშს უწევდა. ყველა მტკივნეული საკითხი, რომელიც გაერთიანების ცხოვრებას შეეხებოდა, დირექციისა და პარტიული კომიტეტის შეთანხმებული საქმიანობით წყდებოდა. პარტიის რიგებში მიღებისათვის ორი წელიწადი ვემზადებოდი, ღრმად შევისწავლე პარტიის პროგრამა და წესდება, რეკომენდაციია გამიწიეს ფაბრიკის მოწინავე მუშებმა, რომლებმაც ფეიქრის ურთიერთს და უფაქიზეს საქმიანობას მაზიარეს. დღეს, როცა ზოგიერთი ღირებულის ახლებურად შეფასების პერიოდი დადგა, ვფიქრობ, ჩემი არჩევანი არ შემცდარა. ამ დღიდან მოყოლებული ბევრ საპასუხისმგებლო კომკავშირულ, საბჭოთა და პარტიულ სამუშაოზე მიმუშავია, როგორც თბილისში, ისე ჩხოროწყუს რაიონში, მაგრამ ჩემი ცხოვრების უზენაესი მიზნისათვის— სამართლისა და პატიოსნებისათვის — არ მიღალატია. იქნებ ბევრი რამ ისე არ გამიკეთებია, როგორც დღევანდელობა მოითხოვს, იქნებ ბევრი დაპირება, რომლებიც ჩემი ხალხისათვის მომიცია, სხვადასხვა ხელშემშლელი მიზეზების გამო ვერ შემისრულებია, მაგრამ ვრთი რამ მტკიცედ მჯერა: რასაც ვაკეთებდი, მასში ვაქსოვდი ჩემს ენერგიას.

გვწამს, რომ კომუნისტურ პარტიას უმოკლეს დროში უნდა ჩამოსცილდეს მის რიგებში შემოხვევით მოხვედრილი ადამიანები, რომლებიც სახელს უტეხენ ამ მიზნით პარტიული რიგების წმენდაა ჩასატარებელი. მე პირადად განახლებული, გაჯანსაღებული კომუნისტური პარტიის რიგებში, მრავალპარტიულობის პირობებში კვლავაც შევეცდები ხალხის სასიკეთო საქმეების გაკეთებას.

ალექსანდრე ფუშანაშვილი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის განყოფილების გამგე, საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის დელეგატი:

1. დღეს ყველა ამბობს და აღიარებს, პარტიაში მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. ასეთივე მდგომარეობა გვქონდა ხუთი, ათი, ორმოცდაათი წლის წინათ და უფრო ადრეც, მაგრამ მაშინ ხმას არავინ იღებდა, ეშინოდათ. ასეთი ვითარება ადრეც და ახლაც შექმნეს პარტიის მოღალატეებმა, პარტიის ბილეთებს ამოფარებულმა მლიქნელებმა და გაიძვერებმა, უზურპატორებმა და მექრთამეებმა. არსად, არც ერთ პარტიულ დოკუმენტში არ წერია პარტიული ხელისუფლება ძალადობით, ოპოზიციონერთა დევნით, უდანაშაულო ადამიანთა ხოცვა-ყლეტით უნდა დამკვიდრდესო, მაგრამ სწორედ ამ დანაშაულებრივი მეთოდები შექმნა პარტიულმა ელიტამ საყოველთაო შიშისა და მორჩილების, ცრუ ყიჟინისა და კეთილდღეობის ატმოსფერო.

არასოდეს ყოფილა პარტია უფრო დემოკრატიული, სამართლიანი, მომსმენი და მიმტევებელი, როგორც დღეს არის, მაგრამ მისი ავტორიტეტი მაინც ქვეითდება. ეს იმიტომ ხდება, რომ სიცრუე და ორპირობა, ვერაგობა და ფარისევლობა, ხელისუფლების ბოროტად გამოყენება და ანგარება კვლავაც დიდ გასავალშია პარტიული ცხოვრების პრაქტიკაში.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგიერთი მაღალი რანგის პარტიული ხელმძღვანელი საქვეყნოდ იფიცება: მექრთამე არა ვარო, და კომისიებს ითხოვს თავისი კეთილსინდისიერების დასამტკიცებლად. პარტიულ ფორუმებზე ცენტრალური კომიტეტის წევრები ერთმანეთს ქურდებს ეძახიან და ეს არავის არ უკვირს და არ სწყინს. რა ავტორიტეტი ექნება პარტიას, როცა წლების მანძილზე ბელადად ვთვლიდით და ტაშს ვუკრავდით ვვიცსა და ფიზიკურად დანგრეულ კაცს, რომელიც ყველა უბედურებასთან ერთად ოჯახიანად ჩაფლული ყოფილა კორუფციის ჭაობში. რა ავტორიტეტი ექნება პარტიას, როცა 9 აპრილის ტრაგედიის, ადამიანურობის წინაშე ამ უმძიმესი და შემზარავი დანაშაულის ორგანიზატორები დღემდე წარბშეუხრელად დადიან, ნაცარს აყრიან ხალხს თვალებში, ყველაფერს კადრულობენ და ახერხებენ კიდეც თავიანთი მდგომარეობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას. რა ავტორიტეტი ექნება პარტიას, როცა ქვეყანაში ტოტალური მექრთამეობა და ძარცვა გლეჯაა გაჩაღებული, როცა შეუძლებელი გახდა პატიოსნი ადამიანისა და ცხოვრება, საზოგადოების დიდი ნაწილი შიმშილისა და სიღატაკის ზღვარზეა მისული. თუ ეს არ დავინახეთ, თუ ეს არ ვიღიარეთ, თუ ამ სატკივარს არ მივზიდეთ და არ მოვუარეთ, არავითარი პოლიტიკა არ განხორციელდება.

2. ჩვენი მოსახლეობა იქამდე თუ მივიდა, რომ აქტიურად ერევა ხელმძღვანელი მუშაკების დანიშვნა-განთავისუფლების საკითხებში, ამას რა ჯობს, მაგრამ ვითომ მართლა ასეა? ერთ-ერთ რაონში შემთხვევით შევესწარი რაიკომის პირველი მდივნის საჯაროდ გადადგომას და, მართალი გითხრათ, ძალიან მძიმე შთაბეჭდილება დამრჩა. ვერ ვნახე, ვერ მოვისმინე ხალხის ხმა, ხალხის პოზიცია და მითხოვნა. ილიაზეა ნაბანამორჩილი რამდენიმე ახალგაზრდა ჩამოჯდა რაიკომის შენობის კიბეებზე და, პირველი მდივანი თუ არ გადადგება, შიმშილობას გამოაცხადებთო. აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ სეირის სანახავად მისული ხალხს წაუკითხა ჭორების დონეზე შეგროვილი და შეუმოწმებელი ფაქტები. გამოვიდა რაიკომის მდივანი, ეს ფაქტები გააბათილა და ისიც დააყოლა: ხვალიდან აქ მომსვლელი აღარა ვარო. ორი-სამი დღის შემდეგ მართლაც წვიკითხე გაზეთში ინფორმაცია, თურმე რაიკომის პლენუმმა პირველი მდივანი გაათავისუფლა და მის ადგილას ისევ პარტიული ფუნქციონერი აირჩია.

ახა, ეს რა დემოკრატიაა და რა სამართალია. შესაძლოა, თანამდებობის პირი გასანთავისუფლებელი კი არა, პასუხისგებაშიც იყო მისაცემი, მაგრამ ხომ უნდა გაიძულება? ცოტნე დადიანმა, თეიმურაზ მღვდელმა, ქეთევან დედოფალმა, მეფე დემეტრემ, ძმებმა ხერხეულიძეებმა და ბევრმა სხვამ საქართველოსთვის თავი გახა რომელიმე პარტიის ზეგავლენითა და ხათრით გასწორეს? უპარტიობებმა ააშენეს სვეტიცხოველი და გელათი, უპარტიობებმა დაწერეს „ვეფხისტყაოსანი“ და „განთიადი“, უპარტიობებმა შექმნეს ქართული საგალობლები, სახვითი და ოქრომჭედლური ხელოვნების შედევრები. რომელი პარტიულობა შეედრება კაი ყმას, კარგი ქართველის სახელს. გასული საუკუნის ოციან წლებამდე პოლიტიკური პარტიები არ არსებობდა, მაგრამ ადამიანთა მოდგმა და ცივილიზაცია ვითარდებოდა. იაპონიაში პოლიტიკური პარტიები დღესაც არ არის, მაგრამ ეკონომიკა, კულტურა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების მართვის სისტემა სხვაზე ნაკლებად არა აქვთ გამართული და მოწყობილი.

რაც შეეხება ეთნოკრიზისებს, მათი დაძლევა რაიმე მტკიცე ზომების მიღებით, ალბათ, არ მოხერხდება, სისტემატური, ყოველმხრივ გააზრებული და აწონილ-გაზომილი მუშაობაა საჭირო. თუ რომელიმე ერს არ სჭირდება ინტერნაციონალიზმის ქადაგება და შეგონება, ალბათ, უწინარესად ქართველებს. ერთხელ უკვე ვთქვი და გავიმეორებ, რომ ინტერნაციონალიზმი საქართველოში არსებობდა და მოქმედებდა მანამდე, ვიდრე ეს ცნება გაჩნდებოდა ცოდვილ დედამიწაზე. საქართველოში მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენელი სამართლებრივი და პოლიტიკური უფლებებით ყოველთვის გათანაბრებული იყო მკვიდრ მოსახლეობასთან. ქართველებთან და აფხაზებთან. ასე იყო და ასე იქნება ყოველთვის. ეროვნული ჩაგვრა, შუღლი და ძალადობა შეუთავსებელია ქართულ სულთან, ქართველი კაცის ბუნებასთან. თუმცა ქართულ ხელგაშლილობასაც აქვს საზღვრები, ყველაფრის დათმობა, გაჩუქება და გასხვისება არც ჩვენ შეგვიძლია და ყიჩაღის მადისა და თავხედობის გამოჩენა არც სამართლიანი იქნება და არც შედეგიანი. ალბათ, ჩვენც მეტი სიდინჯე და სოლიდურობა გვმართებს. ყველა ონიბაზისა და ექსტრემისტის წამოსროლილ სიტყვაზე არაა საჭირო განგაშის და ვაი-უშველებლის ატეხვა, ღია წერილების გამოქვეყნება და მუშტების ქნევა. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების თანხმობისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში სწორედ შენნაირი ხალხი გვჭირდებაო. თითქმის ორი ათეული წელი ვიმეშავე, მაგრამ ვერ მოვახერხე შეცვლილი სიტუაციისათვის მხარის აბმა და ისევ მეცნიერის ქულაჯაში გამომაწყეს. იდეალის გამართული თანამდებობითია და სიმდიდრით არ იზომება, სადაც უნდა ვიყო და როგორც უნდა ვიყო, ჩემი რწმენისა და პრინციპების ღალატს არც ვეცდები და, ალბათ, ვერც შევძლებ.

ვარლამ ჯანჯღავა,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი:

1. პარტიაში დღეს ნამდვილად მძიმე მდგომარეობაა. ასეთ ვითარებაში მეტად დამფიქრებელ და საქმისათვის საზიანო მოვლენად მიმაჩნია პარტიის ლიდერების (ყველა რანგის) დაბნეულობა, ინერტულობა და უმოქმედობა.

რასაკვირველია, ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანი გრძნობს, რომ გარდაქმნა ცხოვრებამ მოიტანა, მისი აუცილებლობაა. რომ გარდაქმნამ მოითხოვა წარსულში დაშვებული შეცდომებისა და ჩადენილ დანაშაულობათა გამომზეურება, დაგმობა, საჭირო დასკვნების გამოტანა, მაგრამ ყველაფერი ეს დაიწყო მოუფიქრებლად.

ჩემი აზრით, ოგნორირებულია თაობათა ისტორიული მემკვიდრეობის, განვლილ პერიოდში დაგროვილი მატერიალური და სულიერი პოტენციალის ობიექტური გაშუქება.

გარდაქმნას ხელს უშლიან არა მარტო კონსერვატორები, ბიუროკრატები, ექსტრემისტები, არამედ ყველა, ვინც ბოროტად იყენებს საჯაროობას, ვინც აუნინებს საბჭოთა კავშირის ისტორიას, ვინც ეუბნს თესავს და უიმედობას აფვიეებს ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვრის — სოციალიზმის მიმართ, ვინც მცდარ წარმოდგენას ქმნის წარსულზე და უმადურობის გრძნობას უნერგავს ახალგაზრდობას, ვინც ერთმანეთს უპირისპირებს ახალ და ძველ თაობებს.

პარტიას ღვარძლიანად შეუტია ბევრმა, მათ შორის პარტიული პრესის ღიდმა ნაწილმა. დაიწყო ისტორიული სინანდვილის დამახინჯება, კონიუნქტურული გაშუქება, რამაც გარკვეულად ხელი შეუწყო პარტიის მდგომარეობის გამწვავებას.

2. დღევანდელ ვითარებაში, როცა ბევრი ზემდგომი ორგანო და მისი ხელმძღვანელი თვლის ხოჭავს ხელქვეითის უღირს საქციელზე და ზომებს არ ღებულობს, მასების უკიდურესი აქციები გამართლებულად მიმაჩნია. თუმცა ცალკეული ფაქტი ამინდს არ ქმნის, რა დასამალია, უღირსი „მოღვაწენი“ ბლომად არიან. ხალხმა ყველაფერი კარგად იცის. თუ ჭეროვნი დასკვნები არ გაკეთდა, ცხადია, ასეთი აქციები განმეორდება.

3. პარტიის განახლება, ჩემი აზრით, რთული და ხანგრძლივი პროცესია. მხოგან მხოლოდ რამდენიმე მომენტს გამოვყოფ.

პარტიაში, სამწუხაროდ, ბევრია კარიერისტი, მექრთამე, ეიდეო, არაკომპეტენტური, უსაქმური, უსულგულო კაცი.

შექმნილ ვითარებაში საჭიროა ვიზიარებ იმ კომუნისტების აზრს, რომლებიც, უღირსი ელემენტებისაგან პარტიის რიგების გაწმენდის მიზნით, მოითხოვენ პარტიაში პოლიტიკურ ატესტაციას და მის დაფიქსირებას პარტიის ახალ წესდებაში. მიკვირს, რატომ არ ახორციელებს ამას სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა.

ჩემი ღრმა რწმენით, თუ პარტიის ფაქტობრივი წმენდა გონივრულად მოეწყო, მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობითა და დახმარებით, მაშინ პარტიის ავტორიტეტი ამაღლდება, მისი რიგები განმტკიცდება.

პარტიამ და მისმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა თავიანთ მოღვაწეობაში სწორად უნდა გაითვალისწინონ ეროვნული ინტერესები, მშრომელთა მოთხოვნები. კი არ უნდა ელოდონ მიტინგებსა და აქციებს, არამედ თვითონ უნდა იყვნენ მომწიფებული და გადაუდებელი საკითხების მოგვარების ორგანიზატორები.

დიალოგი უფრო გულწრფელი, საინტერესო, შინაარსიანი და დამაჯერებელი უნდა იყოს. სასიამოვნოა, რომ ნიჭიერი ახალგაზრდობა მოდის, რომ მათი ლიდერები ჭკვიანები არიან. ამიტომაც კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი, რომელიც მონაწილეობს დიალოგში, უნდა იყოს არა მარტო განათლებული, არამედ რწმენის კომუნისტი, რომელსაც შეუძლია აქტიური პოზიცია დაიჭიროს, საკითხებში გარკვეულობა შეიტანოს, სიმართლე დაიცვას.

მომწიფდა თუ არა პარტიის სახელწოდების შეცვლის საკითხი? არა. საერთოდ საკითხის ასე დაყენება მეუცნაურება. პარტიის სახელწოდების შეცვლა სრულიადაც არ ნიშნავს პარტიის განახლებას. მით უმეტეს, რომ პარტიას ძალიან კარგი სახელწოდება აქვს. მთავარია მისი იდეალისათვის ბრძოლის სწორი და ეფექტიანი გზები გამოიძებნოს.

პარტია კრიზისამდე სახელწოდებას არ მიუყვანია, მიიყვანა მრავალმა მიზეზმა, მათ შორის — უნიჭო და ცუდი რეპუტაციის ლიდერებმა.

მთავარია პარტიამ საქმით იბრძოლოს პირი საზოგადოების ყველა ფენისაკენ, მტკიცედ გაითვალისწინოს მისი ინტერესები და კანონიერი მოთხოვნები, უარი თქვას ყოველგვარ პრივილეგიებზე, უზრუნველყოს სიტყვისა და საქმის ერთიანობა, ემსახუროს ხალხს ბოლომდე უანგაროდ.

საერთოდ ფიმაჩნია, რომ კომუნიზმის მშენებლობის იდეა უაღრესად კეთილშობილური და მოსაბლავია, იმ გაგებით, რომ მისი ფუძემდებელი მიზანია ნამდვილად თანასწორუფლებიანი, ჭეშმარიტად დემოკრატიული და სამართლიანი საზოგადოების აშენება. ასეთი საზოგადოების აშენებაზე ხელის აღების საფუძველს მე ვერ ვხედავ.

პარტიის ახალი წესდების პროექტის პრეამბულაში ნათლად არ არის განსაზღვრული პარტიის იდეური საფუძველი და საბოლოო მიზანი. იგი არ იძლევა დამაჯერებელ პასუხს: ბოლოს და ბოლოს, რას ვესწრაფოთ, როგორი განახლებული პარტია გვინდა, რით იხელმძღვანელებს და რა არის მისი საბოლოო მიზანი.

გარდა ამისა, წესდების პროექტის მე-17 მუხლის ბოლო აბზაცში ნათქვამია, რომ „საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში არ დაიშვება ისეთი ფრაქციების შექმნა, რომლებსაც აქვს საკუთარი შინაგანი ორგანიზაცია და დისციპლინა, პარტიის საპროგრამო მიზნებთან შეუთავსებელი იდეური მიმართულებანი“. საერთოდ, ფრაქციების დაშვება პარტიაში დღევანდელ ვითარებაში დაუშვებლად მიმაჩნია, რადგან არსებობს მრავალპარტიულობა, ბევრია ოპონენტი და ოპოზიცია.

4. საქართველოს კომუნისტური პარტიის უფლებების გაფართოებისა და დამოუკიდებლობის იდეას სავსებით ვიზიარებ. მაგრამ ეს უნდა იყოს საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია, რომელშიც გაერთიანებული იქნება ყველა ერის კომუნისტი, რომელსაც თანასწორი უფლებით სრულიად ნორმალური ურთიერთობა ეკრნება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან და მტკიცედ იბრძოლებს ჰუმანური სოციალიზმის მშენებლობისათვის.

რესპუბლიკების ყველა დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია, მათ შორის საქართველოს კომპარტია, თანასწორი უფლებით პარიტეტულ საწყისებზე გაერთიანდება და საერთო საკითხების მოსაგვარებლად შექმნის საბჭოს ან პრეზიდიუმს. საბჭოს (პრეზიდიუმის) შემადგენლობაში შევლენ რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნები ან უაღრესად ავტორიტეტიანი წარმომადგენლები, რომლებიც რიგრიგობით უხელმძღვანელებენ აღნიშნულ ორგანოს.

ყველა ეთნოკრიზისი უნდა გადაწყდეს მშვიდობიანი გზით, ამას ბევრად უწყობს ხელს ქართველი კაცის ბუნება, მისი ინტერნაციონალური ხასიათი, სხვა ერებთან თანაცხოვრების ტრადიცია, ურთიერთგაგება და პატივისცემა.

5. როცა პარტიაში შევედი, სულ ახალგაზრდა — 20 წლისა ვიყავი, კომეუერნე, 7-წლიანი შრომის სკოლის ახალბედა მასწავლებელი, ღარიბი გლეხის ოჯახიდან, შრომა და სიდუხჭირე გამოვლილი. პარტიაში შევედი მხოლოდ ერთი მიზნით: კეთილსინდისიერად მემსახურა მშრომელთა საქმისათვის, და აი, უკვე 58 წელზე მეტია ამ მიზანს შეძლებისდაგვარად და უანგაროდ ვემსახურები.

1935 წელს ამიერკავკასიის საბჭოთა-სამეურნეო უმაღლესი კომუნისტური სკოლის დამთავრების შემდეგ, პარტიული მობილიზაციით ჯარში გამგზავნეს პოლიტიკურ სამუშაოზე. თუმცა სურვილი არ მქონია, ასპირანტურაში მინდოდა სწავლის გაგრძელება, მაგრამ თხოვნა არ დაკმაყოფილეს.

მთელი ომის წლები ფრონტზე გავატარე, მრავალ ბრძოლაში მიმიღია მონაწილეობა, მათ შორის მოსკოვთან და სტალინგრადთან. მძიმედ დაჭრის შემდეგაც არ მიცდია ზურგის შენაერთში გადავეყენებინეთ.

დღეს გული მტკივა, როცა ხელაღებით კილავენ კომუნისტებს. მახსენდება შესანიშნავი გულადი ახალგაზრდები, მათ შორის ქართველები, რომლებიც ყველაზე მძიმე ბრძოლების წინ, მასობრივად შედიოდნენ პარტიაში.

მე პირადად სხვა პარტიებს, მის წევრებს პატივს ვცემ, მაგრამ არ შემიძლია დავივიწყო კომუნისტური პარტიის დადებითი საქმეები, განსაკუთრებით ის ტიტანური შრომა და სიდუხჭირე, რომელიც მან გამოიჩინა დიდ სამამულო ომში. ამიტომ კომუნისტურ პარტიას ჯერ ერთ პარტიაზე ვერ გავცვლი. უყოყმანოდ ვრჩები მის რიგებში.

ალექსი ბოლქვაძე,

სრულიად საქართველოს მედიცინის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის საბჭოს საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორი, უპარტიო:

1. დასმული კითხვებიდან პასუხის გასაცემად ყველაზე რთულია პირველი. პარტიაში შექმნილი ამჟამინდელი ვითარება, სამწუხაროდ, მეტად ძნელი და სერიოზულია. ამის გამოხატვის შესაძლებლობა მხოლოდ გარდაქმნის პერიოდში, 1985 წლიდან მიეცა ხალხს. პარტია წარმმართველი ძალაა, იგი ხელმძღვანელობს ხალხს, ქვეყანასა, გვასწავლიდნენ, სინამდვილეში კი ჩვენი ქვეყნის არსებობის 70 წლის ისტორია გვარწმუნებს, რომ პარტია ეს ერთი ადამიანის ყოვლისშემძლე ძალაუფლება ყოფილა.

დღეს გორბაჩოვი განაგებს ჩვენს სახელმწიფოს. მან ჭეშმარიტად ტიტანური ნაბიჯი გადადგა — შემოაბრუნა უფსკრულისაკენ ზიმავალი ქვეყანა. მან უდავოდ დაიჩქარა გარდაქმნის დაწყების და განვითარების პროცესი (იგი თვით ცხოვრებამ მოითხოვა). თუმცა, შეეძლო გაჰყოლოდა სტალინ-ხრუშჩოვ-ბრეჟნევის მიერ „რუდუნებით“ გატკეპნილ სტერეოტიპს.

ავტორიტეტის ოდნავ მაინც აღსადგენად, მჯეროდა და მჯერა, რომ პარტიამ უნდა მოიახლინოს წმენდა (თუ არ ეშინია ამისი), რაც ძნელი, რთული, შრომატევადი და პასუხსაგები პროცესია, მაგრამ აუცილებელია.

ხელმძღვანელ თანამდებობებზე, პარტორგანიზაციის მდივნებად შორად ხვდებიან სახელგატეხილი ადამიანები: ნაცნობობით, პროტექციით. წესდებაში უნდა იქნეს შეტანილი, რომ მათი დანიშვნა-არჩევა უნდა მოხდეს მხოლოდ ფარული კენჭისყრით, ალტერნატიულ საფუძველზე.

2. დღეს მოდაშია საზოგადოების გარკვეული ჯგუფის დაჟინებული თხოვნით პარტიის ხელმძღვანელი ორგანოსადმი (ან პირველი ხელმძღვანელისადმი) „უნდობლობის“ გამოცხადება. ეს ხდება ჩვენთვის აქამდე უჩვეულო წესებით (საპროტესტო აქციებით). ეს, რა თქმა უნდა, ნაკარნახევი არაა კარგი ცხოვრებით, მაგრამ რაკი ასეთი შემთხვევები გვხვდება ცხოვრებაში, ანგარიში უნდა ვაკეთოთ მათ.

მთხოვნელთა უმრავლესობას საჩივართან, რაიმე ინიციატივასთან დაკავშირებით შესვლა სურს პირველ ხელმძღვანელთან. ის კი დაკავებულია, მთხოვნელებს აგზავნის მოადგილეებთან, რაც მათ სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

პარტიის რაიკომის (შესაბამისად, საქალაქოს, საოლქოს) პირველი მდივანი ქმნის ამინდს რაიონში. მისი ყოველი ნაბიჯი აღრიცხვაზეა აყვანილი. იციან, ვინ რით სუფთაავს,

დიადი გმირობის მარადიული ნათელი

(დასასრული)

აქვე არიან თვალსაჩინო საბჭოთა მხედართმთავრები.

კრემლის კურანტებმა მაცხოვრის კოშკზე ათჯერ ჩამოჰკრა. დაფდაფები მსოფლიოს აუწყებენ: „ისმინეთ ყველამ!“. პარადი დიდწყო. სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი დ. ტ. იაზოვი მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადის და სიტყვას წარმოთქვამს.

დ. ტ. იაზოვის სიტყვა

საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრებო!

ძვირფასო დიდი სამამულო ომის ვეტერანებო და შრომის ვეტერანებო! საბჭოთა კავშირის მშრომელებო!

პატივცემულო საზღვარგარეთელო სტუმრებო!

ამხანაგებო!

მოგესალმებით და მოგილოცავთ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების დღესასწაულს!

45 წლის წინ საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა საბოლოოდ შემუსრეს ფაშისტური გერმანია. ოთხ განუზომლად მძიმე და უსაშველო წელწადს გასტანა საბჭოთა დამამიანების ბრძოლამ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ამ გმირულ ბრძოლაში მათ არა მარტო დაიცვეს მშობელი მიწა-წყალი, არამედ თავისუფლებაც მოუტანეს.

საბჭოთა ხალხის უმაგალითო მხედრული და შრომითი გმირობა მისი პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთების სიდიადის განსახიერებაა. მან ყველა განსაცდელს გაუძლო და ბოლომდე შეინარჩუნა ცხრაას ჩვიდმეტის ოქტომბერში გაკეთებული სოციალისტური არჩევანის ურყევი ერთგულება.

ომმა ცხადყო საბჭოთა სახელმწიფო წყობილების სიმტკიცე, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმური მეგობრობის ურღვევობა. მან დაადასტურა, რომ არა ცალ-ცალკე, არა მარტოდ, არამედ მხოლოდ მჭიდრო კავშირით, ერთმანეთის პატივისცემით, დახმარებითა და თანამშრომლობით დავძლევთ ყოველგვარ სიძნელესა და გაჭირვებას, დადავწყვეტთ ყოველგვარ ამოცანას.

წარსული ომის ბრძოლის ველზე დიდებით შემოსეს თავიანთი მხედრული დროშები საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა. მეომრებს, რომლებიც ხალხის განუყოფელ ნაწილს შეადგენდნენ. სწორედ ხალხის უსაზღვრო მხარდაჭერა მატებდა ვაჟკაცობას, გულოვნებას, სიმტკიცესა და სიმაცეს. ბრწყინვალე დასტური ვა სოციალისტური სამხედრო ორგანიზაციის, საბჭოთა სამხედრო ხელოვნების გადამწყვეტმა უპირატესობებმა. გამარჯვება გახდა ჩვენი მებრძოლების და მეთაურების, სარდლებისა და მხედართმთავრების საბრძოლო ოსტატობის მწვერვალი.

ჩვენ ფაშიზმს ვძლიეთ არა მარტო ბრძოლის ველზე, არამედ ეკონომიკურადაც. ლითონის, ქვანახშირისა და პურის, სთბობისა და ნედლეულისათვის, იარაღის შემნისათვის გაჩაღებულ ძნელ ბრძოლაში თავიანი უდიდესი შესაძლებლობანი დამტკიცა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტურმა ორგანიზაციამ. უმაგალითო გაქანება პოვა მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის შემოქმედებამ, ინიციატივამ. ისეთივე, მასობრივი როგორიც ფრონტზე, იყო შრომითი გმირობა.

მძლავრი მატერიალური ძალა, ჩვენი გამარჯვების ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი გახდა ლენინური კომუნისტური პარტიის იდეები, რომლებიც მრავალმილიონიან მასებს დაეუფლა. პარტია, მისი ადგილობრივი ორგანოები საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ხერხემალს შეადგენდნენ, ყოველ ხუთ პარტიელთაგან ოთხი ფრონტზეა, ებრძოდა ან თავდაცვითს საწარმოებში შრომობდა. ომის წლებში სამი მილიონი კომუნისტი დაიღუპა ბრძოლებში და ხუთ მილიონზე მეტი ახალი მებრძოლი შეემატა პარტიის მწყობრს.

ზეიმობენ რა გამარჯვების 45 წლისთავს, საბჭოთა ადამიანები ჯეროვან პატივს მიაგებენ ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოთა ხალხებსა და არმიებს, ყველას, ვინც იარაღით ხელში, მხედრულ მწყობრში, პარტიზანთა რიგებში, წინააღმდეგობის თუ ანტიფაშისტური იატაკქვეშეთის მოძრაობაში მონაწილეობდა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გადახდილ ომში გაერთიანებული ძალისმხეთით მოპოვებული გამარჯვება უდავოდ სწაკლებრივი ღირებულებაა. ამასთანავე ეს გამარჯვება სამართლიანად მიგვაჩნია ჩვენი სამშობლოს, მთელი ხალხის კუთვნილებად. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე დატოვა აგრესორმა თავისი დანაკარგების თითქმის ორი მესამედი. საბჭოთა ჯარების მეგრობამ, მტრის შემმუსვრელმა დარტყმებმა განაპირობა მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობა და შედეგი, გადამწყვეტი როლი შეასრულა გამარჯვებაში.

დღევანდელობის გადასახედიდან კიდევ უფრო ნათლად მოჩანს ჩვენი გამარჯვების მსოფლიოისტორიული მასშტაბი. მან კაცობრიობას სოციალური პროგრესისა და მშვიდობის ახალი გზები გადაუშალა. ომისშემდგომ პერიოდში რეაქციისა და აგრესიის ძალებმა შეძლეს ჩაეხერგათ ეს გზები უამრავი დაბრკოლებით. მაგრამ გამარჯვების მომკილი ნაყოფი მაინც შეეინარჩუნეთ.

გარდაქმნით მობილი ახლებური პოლიტიკური ატმოსფერო გახდა თანამედროვეობის მწვავე პრობლემების კონსტრუქციული გადაწყვეტის თავიდათავი. საბჭოთა კავშირში მიმდინარე ღრმა გარდაქმნების გავლენით ხდება პოზიტიური ცვლილებები საერთაშორისო ცხოვრებაში. კონფრონტაციას ცვლის დიალოგი. ვითარდება მოლაპარაკების პროცესები, მტკიცდება უშიშროება. მაგრამ დადებითი ძვრები ჯერ კიდევ არ გამხდარა შეუქცევადი. ომის საფრთხე ჯერაც არ აღმოფხვრილა.

ასეთ პირობებში საბჭოთა კავშირი, ისწრაფვის რა შეინარჩუნოს თავდაცვისუნარიანობა საჭირო და საკმარის დონეზე, ახორციელებს რადიკალურ გარდაქმნებს თავდაცვის მშენებლობაში. ახორციელებს რადიკალურ გარდაქმნებს, რომელთა ერთობლიობაც შეადგენს სამხედრო რეფორმას.

საბჭოთა მეომრები ხალხთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ პარტიის მიერ შემუშავებული გარდაქმნის პოლიტიკის რეალიზაციაში. ისინი იწონებენ და მხარს უჭერენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საყრილობო პლატფორმას, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მესამე, რიგგარეშე ყრილობის დადგენილებებს, ქვეყნის პრეზიდენტის გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ერთიანობის განმტკიცება.

ოფიცრები და ჯარისკაცები, არმიისა და ფლოტის მთელი პარადი შემადგენლობა თავიანთ პატრიოტულ და ინტერნაციონალურ მოვალეობად იანებენ იმას, რომ დაუმკვიდრონ ჩვენს ხალხს მშვიდობიანი პირობები, რათა განახორციელოს საბჭოთა საზოგადოების რევოლუციური გაახლების, ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმის გზით ქვეყნის წარმატებული წინსვლის ამოცანები.

დიდება საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრებს!

სახელი და დიდება დიდი სამამულო ომის გმირებს — ფრონტელებსა და ზურგის მშრომელებს, რომლებმაც ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლაში დაიცვეს საბჭოთა სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს — გამარჯვებულ ხალხსა და მის სახელოვან შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

ვაშა, ამხანაგებო!

მოედანზე გრგვინავს სამგზისი ვაშა! ჟღერს საბჭოთა კავშირის ჰიმნი. საარტილერიო სალუტის ხალვები ერწყმის ჰიმნის დიდებულ ჰანგებს. ეს აღლუმის სახეიმო უფერტიფაა.

მოედანზე ფრიალებს გამარჯვების დროშა — სწორედ ის ალისფერი ტილო, რომელიც დამბობილი რაიხსტაგის თავზე ფრიალებდა. დროშა მოაქვს გენერალ-მაიორ ვ. თ. ზდუნოვს. იგი საბჭოთა კავშირის გმირია, დაჯილდოებულია რვა ორდენითა და medaltaa. მედლით. ვასილ თეოდორეს ძე ბერლინის შტურმის მონაწილეა. 1945 წელს სპეციალური ჯგუფის შემადგენლობაში იგი ახლდა გამარჯვების დროშას, მოსკოვში.

პარადის წინ ამ რეპორტაჟის ავტორები შეხვდნენ ვეტერანებს. მათი აზრით, ტრეტეოგ-პარკიდან უნდა გადმოვიტანოთ განმათავისუფლებელი მეომრის ძეგლი და დავდგათ. პოკლონნაია მთაზე.

რა გაეწყობა, შესაძლოა, ზეიდეს კიდევ ამ წინააღმდეგობის გაწმენდა. მით უმეტეს, რომ აზრი ტალსი ორმა ისტორიული აზრი: გაათავისუფლა საბჭოთა ჯარისკაცმა ევროპა და დაბრუნდა შინ.

მედროშეთა კოლონას მოჰყვება სსრ კავშირის სამი სახეობის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებისაგან შედგენილი საპატიო ყარაული. ასეთ მხედრულ პატივს მიაგებენ საბრძოლო დროშებს.

მოედანზე კვლავ გაისმის მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. ტრიბუნები მიეესალმებიან ომთ, ვინც დიდი სამამულო ომის წლებში დაიცვა ჩვენი თავისუფლება. ჭაღარა ვეტერანებს რომ უყურებ, არ შეიძლება არ ყბადახსენდეს, რომ დიდი სამამულო ომის წლებში გმირობისა და მამაცობისთვის 7 მილიონზე მეტი საბჭოთა მეომარი დაჯილდოდა ორდენებითა და medlebiT, 11.600-ზე მეტ კაცს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, 2.500-მდე გახდა დიდების ორდენის სრული კავალერი. ოთხი საბჭოთა კავშირის გმირი დიდების სამი ორდენის კავალერია.

...წითელ მოედანს ხშირად არ უნახავს ერთბაშად ამდენი სახელმოხვეჭილი გმირი. იქნებ მხოლოდ 1945 წელს, გამარჯვების პარადზე. როგორი იყო იგი?

აი როგორ აღწერა იმ ისტორიული პარადის დასკვნითი ნაწილი მწერალმა ბორის გორბატოვმა: „...ეს არის წითელი არმიის მიერ განადგურებული გერმანელთა ნაწილების დროშები. ეს არის დამარცხებული მტრის დროშები. რა საჭიროა გიამბოთ ამ დროშების ისტორია — იგი ყველამ იცის... მშრალად, თითქოს სიკვდილით დასჯის წინ, დაჭკრეს დაფდაფებს.

დიახ, სწორედ ეს არის ფაშიზმის პოლიტიკური სიკვდილით დასჯა! დაე, ახსოვდეს დამარცხებულ მტერს: „ყოველნი, რომელთა აღიღონ მახვილი რუსეთზე — მახვილითვე წარწყმდნენ“.

პარადის ისტორიულ ნაწილს ამთავრებს განმათავისუფლებელ მეომართა ბაკრები პოლკი. მავზოლეუმს ჩაუარეს დიდი სამამულო ომის ჯარისკაცების, ოფიცრებისა და გენერლების ფორმაში გამოწყობილმა. ახალგაზრდა მეომრებმა. მათ ახურავთ მუზარადები, აცვიათ წამოსასხმელი ლამაფები, ხელში ლეგენდარული შპაგინის ავტომატები უჭირავთ. შთამბეჭდავი სანახაობაა, რომელიც განასახიერებს დროთა განუყოფელ კავშირს.

წითელ მოედანზე შემოდის მ. ვ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის — მეთაურთა კადრების უძველესი სამეფდლოს, საბჭოთა სამხედრო აზრის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრის მსმენელთა პირველი ბატალიონი.

მავზოლეუმის წინ მოდიან ვ. ი. ლენინის სახელობის სამხედრო-პოლიტიკური აკადემიის აღზრდილები — წითელი კომისრების — ფრონტელი პოლიტმუშაკების შთამომავალნი.

საპარადო მწყობრში არიან ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის სამხედრო აკადემიის მსმენელები. ჩვენი ქვეყნის ამ უძველესმა უმაღლესმა სასწავლებელმა ომის ოთხ წლის მანძილზე მეტი სპეციალისტი მოამზადა, ვიდრე თავისი არსებობის 120 წლის განმავლობაში.

ზუსტი მწყობრით მოდიან საბჭოთა კავშირის მარშლის რ. ი. მალინოვსკის სახელობის ჯავშანსატანკო ჯარების სამხედრო აკადემიის, ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის, საბჭოთა კავშირის მარშლის ს. კ. ტიმოშენკოს სახელობის ქმიფური დაცვის სამხედრო აკადემიის წარმომადგენლები. ავიატორთა მარშის ხმებში მოაბიჯებენ ი. ა. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის, პროფესორ ნ. ე. ჟუკოვსკის სახელობის სამხედრო-საჰაერო საინჟინრო აკადემიის მსმენელები.

გაზაფხულის სიო აფრიალებს თეთრ-ცისფერ დროშას. მოდიან ფლოტის მომავალი ოფიცრები — ლენინგრადის ა. ს. პოპოვის სახელობის რადიოელექტრონიკის უმაღლესი სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის კურსანტები.

საპარაშუტო-სადესანტო პოლკის მწკრივებს ცვლიან მოსკოვის სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მოსკოვის საბჭოს სახელობის უმაღლესი საუნიფორო სამეთაურო სასწავლებლის კურსანტები, საზღვაო ქვეითი ჯარისკაცები, ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის შინაგანი ჯარების დივიზიის მეომრები.

განსაკუთრებული სიმპატიით ხვდებიან ტრიბუნები არმიისა და ფლოტის ნორმ წარმომადგენლებს — სუვოროველებსა და ნახიმოველებს, მოსკოვის კალინინისა და ლენინგრადის სამხედრო სასწავლებლების აღსაზრდელებს. მრისხანე და მძიმე ორმოცდასამ წელს გაჩნდა ეს სასწავლებლები. მებრძოლმა ქვეყანამ „იისრა ათასობით ბიჭის — დაღუპულ მეომართა შვილების მეურვეობა, რომლებმაც გადაწყვიტეს მამათა მაგალითისამებრ სამხედრო მოსამსახურის პროფესია აერჩიათ.

საზეიმო მარშს, როგორც ყოველთვის, ამთავრებენ მოსკოვის რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს სახელობის უმაღლესი საერთოსაჯარისო სამეთაურო სასწავლებლის აღსაზრდელები. ყველა პარადში მონაწილეობდნენ კრემლის კურსანტები. და მხოლოდ ერთხელ გამოტოვეს ეს ზეიმი — 1941 წელს. მაშინ ამის მიზეზი უაღრესად საპატიო იყო: კურსანტები სამკედრო-სასიცოცხლოდ იბრძოდნენ მოსკოვის მისადგომებთან.

მავზოლეუმისაკენ მოეშურება ოცდაათი სუვოროველი და ნახიმოველი. მათ თაიგულები გადასცეს მავზოლეუმის ტრიბუნაზე მყოფ საბჭოთა სახელმწიფოს, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებს, მხედართმთავრებს.

რამდენიმე წუთით წითელ მოედანზე სიჩუმე ისადგურებს. შემდეგ კი გაისმის ასობით მოტორის გუგუნი. მარშზე გამოდიან ლეგენდარული ტ-34 ტანკები — მეორე მსოფლიო ომის საუკეთესო ტანკები, თვითმავალი ქვემეხები.

ტანკებს მოჰყვება 90 საარტილერიო დანადგარი: ზარბაზნები, ჰაუბიცები, ნაღმსატყორცნები. მაგრამ დამსწრეთა ყველაზე მეტი გამოიცოცხლება სახელგანთქმულმა „კატიუშებმა“ გამოიწვია.

საზეიმო მარშს განაგრძობს ი. ვ. ანდროპოვის სახელობის კანტემიროვკის გვარდიული სატანკო დივიზია. დიდი სამამულო ომის წლებში ამ შენაერთის ტანკისტებმა გაანადგურეს ქებული ჰიტლერული დივიზიები „ვიკინგი“, „დიდი გერმანია“, „მკვდარი თავი“, „ადოლფ ჰიტლერი“ და სხვები.

დიახ, ახლანდელი პარადი ბევრად უჩვეულოა. მისთვის დიდხანს ემზადებოდნენ ვეტერანებიც და ახალგაზრდა მეომრებიც. სულ 225 ნაბიჯი გადადგა თითოეულმა მათგანმა წითელ მოედანზე. მაგრამ ეს ხომ მთელი მსოფლიოს წინაშე გადადგმული ნაბიჯი იყო. ზეიმის ფინალური აკორდია სამხედრო მუსიკის ათასსაყვირიანი ორკესტრის ჩაგლა. გამარჯვების დროშით მოსილი კიდევ ერთი პარადი წითელ მოედანზე ისტორიის კუთვნილება ხდება.

რეპორტაჟს წითელი მოედნიდან უძღვებოდნენ საადგილის სპეციალური კორესპონდენტები

ვ. ბეზბრეზნი,
მ. ზახარჩუკი,
ვ. ხრუსტოვი.

დ. ტ. იაზოვის მარშალი

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ

დაბადებიდან 70 ნელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ მწერალს დავით კვიცარიძეს. ამ თარიღთან დაკავშირებით მას ბინაზე ეწვია „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

საუბარი ასე დაიწყო:

— **ბატონო დავით! მეგონა უკეთ ცხოვრობდით...**

— ეს ბაბუასეული სახლია. პატარა ეზოთი, თბილი, თავისებურად დასამრისად. ძმაც აქვე ცხოვრობს. უფროსი და (ჯარისკაცის ქვრივი) ზზირად დაგვხედავს ხოლმე. მყავს კეთილმოსურნე მეზობლები, მეუღლე, შვილიშვილები... საყვედური არ მეთქმის, არც დამცდენია.

— **ვხედავ კედელზე, თქვენს საწერ მაგიდასთან, დედის სურათი ჰკიდია. მეორე მხარეზე — ჯვარცმული ქრისტე. მორწმუნე ხართ?**

— დედა იყო ღვთისმოსავი, მეუღლე მორწმუნეა. თავად ყოველთვის დიდად მოკრძალებული ვიყავი განმგებლისადმი. მახსოვს ერთხელ, დედამ „შემისწრო“, პირჯვარს ვიწერდი. არ გაოცებულა. ჩემი ხელი აიღო და გულში ჩაიხუტა. როცა მაგიდას ვუზიავარ, თავს შებოჭილად ვგრძნობ, ბოლოსდაბოლოს რაღაც უნდა შემქმნა შენი შეძლების გათვალისწინებით. მიიხედ-მოიხედავ, ხან დედის სურათს თხოვ შემწეობას, ხან ჯვარცმულ ქრისტეს და... იბრძვი.

— **70 წელი ბევრიცაა და... ცოტაც, თქვენი ერთი ადრინდელი ლექსიდან ასეთ სტრიქონს შეგახსენებთ: „მე ქვეყნად ისე დავიარები, არ მერცხვინება უკან მოხედვის“.**

— თამამად მითქვამს, თამამად და ხმამაღლა. ამის უფლება ბევრს არა აქვს, ალბათ — არც მე. გაჭირვება ბევრი მინახავს, ცოტაოდენი სიხარულიც. გამონაკლისი არ ვყოფილვარ, მე სხვათა და სხვათა გვერდით ვხედავ და იმ დროშის ტარი მქონდა ჩაბღუჯული, ვითომ გამარჯვებულებს რომ გადმოგვცემდნენ ზარზეიმით. მთლად მორჩილი და ქედმოხრილიც არ გახლდით.

— **თქვენს რომანებში, „ნადა ხარ, მარინე“, „ნდობა“, „ძეგლები მიწას არ ამძიმებენ“ და „მწვანე ქალაქი“ საკმაოდ მწვავედ და გაბედულად აკრიტიკებდით ეგრეთწოდებულ ნეგატიურ მოვლენებს, თუმცა „ნდობის“ ერთ-ერთ პერსონაჟს კი ათქმევინებთ: „მე ვიყავი კარგი მებრძოლი იქ ომში, მაგრამ მშვიდობიან ცხოვრებაში ის სული ვეღარ შევინარჩუნეო“.**

— საერთოდ, ჩემს ნაწარმოებებში თვალში საცემად სჭარბობს ომის თემატიკა. მე ვცდილობდი შემექმნა ქართველი ფრონტელის სახე, გამომეძერწა მისი ხასიათი, ბუნება. მერე ყოფილი ფრონტელი მეჩვენებინა ყოველდღიურ ცხოვრებაში. არ ვიცი, როგორ, მაგრამ ჩემი ფრონტელი მებრძოლი ჩვეულებრივ ცხოვრებაში ჩვეულებრივ მომაკვდავად იქცა. საბედნიეროდ, ყველა არა. ასეა თუ ისე, მე ომიდან მოვდივარ!

— **ეს მართალია. თქვენ სამამულო ომის აქტიური მონაწილე — პარტიზანი ხართ, ორდენებითა და medlebiT დაჯილდოებული. რას გაიხსენებთ, ვთქვათ ომის დაწყების პირველი დღეებიდან?**

— შიშს... და გეტყვით, რომ შიში არცთუ უკადრისი გრძნობაა. იგი ტოლსწორია ყველა ადამიანური გრძნობისა, ოღონდ შიშნაკმი ადამიანი სხვაა, ლაჩარი — სხვა.

პირველად შიში (და მერე როგორი!) სწორედ ომის დაწყების პირველსავე დღეს ვიწვნიე. მწფე პურის ყანაში გართხმულ ჩვენს პოლკს. ტყვიებსა და ბომბებს უშენდნენ ფაშისტების თვითმფრინავები. ფრჩხილებით ვფხოჭნიდი მიწას, შიგ ჩაძვრომას ვლამობდი. მეგონა, მთელი პოლკი ამოწყვიტეს-მეთქი. შიშმა ამიტანა არა სიკვდილის — ასე სიახლოვის გამო, არამედ უფრო იმიტომ, გაგებამ ლაჩრად ხომ არ გამაჩინა-მეთქი, საბედნიეროდ, არა. მე და სიკვდილმა მერე და მერე ბერჯერ ჩავხედეთ ერთმანეთს თვალებში.

მე ომიდან მოვდივარ, — მომწონს, მეტიც, მიყვარს ეს ფრაზა.

— **ვრცელი რომანი, „მშვიდობით, უსიერო ტყეებო“. ასე ვთქვათ, თქვენი მთავარი ნაწარმოებია. რამდენი წელი იმუშავეთ რომანზე?**

— „მშვიდობით უსიერო ტყეებოს“ წინ უსწრო მოთხრობების ციკლმა ომზე: „ორდიშევის ტყეში“, „ჩაქცეული მიწური“, „არყის ხე“, „ბილიკი ტყეში“, „წუთისოფელი“, „მუზარადი“ და სხვა. რომანზე 8 წელი ვიმუშავე. იგი მთლიანად დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“. რამდენჯერმე გამოიცა ცალკე წიგნად. ითარგმნა და გამოვიდა მოსკოვშიც, „სოვეტსკი პისატელში“. ჩემი ნაწარმოებები თარგმნილია აგრეთვე უკრაინულ, ბელორუსულ, სომხურ, პოლონურ და სხვა ენებზეც.

— **თქვენ დრამატურგობაშიც მოხიბლეთ კალამი.**

— სხვადასხვა დროს საქართველოს თეატრების სცენებზე, გარკვეული წარმატებით მიდიოდა ჩემი პიესები: „თოვლიან ღამეს“, „გამარჯობა, ჩემო ქალაქო“, „მაბატონი ელგუჯა მაღრაძე, რომელიც იმ დროს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორად მუშაობდა. მან ბარაფიციალურად, მაგრამ მტკიცედ დაავალა მხატვრული ლიტერატურის განყოფილებას, ქუთაისისათვის ყოველწლიურად დაეთმო 40 საავტორო თაბახი, რაც შემდგომ ფილიალის შექმნის საფუძველი გახდა. მაშინდელმა ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ბატონმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ ბრძანებით დაადასტურა ფილიალის არსებობა.

— **ბატონო დავით! ხანამ თქვენ ბეჭვიდით, ვინახულე მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი, მწერალი თეიმურაზ ლანჩავა. მან ხიამოვნებით აღნიშნა თქვენი ღვაწლის შესახებ, განსაკუთრებით ახალგაზრდა და დამწყები მწერლების აღზრდის საქმეში. ბაზე გაუსვა თქვენს დამსახურებას უამრავი ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში. მარტო მწერალთა სახლის მშვენიერი შენობა რად ღირხო. გვქონდაო კამათი, დავა, ზოჯერ შეუძლებელსაც მოვითხოვდითო. ილაპარაკა იმაზეც, რომ თქვენ დღესაც აქტიურად მონაწილეობთ მწერალთა კავშირის ყოველდღიურ საქმიანობაში. თავად რას იტყვით?**

— მწერალთა ორგანიზაცია ცოცხლად, საქმიანად მუშაობს. შეიქმნა ახალი მხატვრული ორგანო-გაზეთი „უქმერიონი“, დაარსდა ლიტერატურული თეატრი, რეგულარულად ტარდება ღონისძიებები. ერთი სიტყვით, მუშაობა სწორი გზით მიდის და მე ეს მიხარია.

— **თქვენს ლექსზე ქალბატონ ნუნუ დუღაშვილის მიერ შექმნილი „სიმღერა ქუთაისზე“ თითქმის ჰიმნად იქცა. რამდენადაც ვიცი, ადრეულ წლებში ხმაგ ცნობილ კომპოზიტორებთანაც ჭქონდათ შემოქმედებითი ურთიერთობა. ვის ვგულისხმობ?**

— ორმოცდაათიან წლებში ქუთაისში არსებობდა საასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, რომელიც შემდეგ სოხუმში გადაიტანეს. ცოცხლობდა ქუთაისი, ორი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი ახალგაზრდობა რომ გამოეფინებოდა და ბავშვებდა ქუჩებს. ბაღ-ბულვარს, რა სჯობდა მათ ცქერას.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან შეიქმნა საესტრადო ორკესტრი. კონსულტანტად მოიწვიეს იმ დროს ახალბედა კომპოზიტორი გიორგი ცაბაძე. პირდაპირ ინსტიტუტში გამოუყვეს ოთახი, დაუდგეს პიანინო.

მე და გიგი დავმეგობრდით, ათი დღის განმავლობაში შეიქმნა რამდენიმე სიმღერა, რომელმაც პოპულარობა მოიხვეჭეს.

ჩემს ლექსებზე სიმღერები შექმნეს აგრეთვე ცნობილმა კომპოზიტორებმა გრიგოლ კოკელაძემ და შოთა მილორავამ, სხვებმაც, მაგრამ „სიმღერა ქუთაისზე“ ჩემთვის ყველაზე ძვირფასია და ახლრნელი.

თუ ნებას დამრთავთ, თქვენი გაზეთის საშუალებით ერთხელ კიდევ მოვახსენებ მადლობას ქალბატონ ნუნუს და გავიმეორებ ჩვენს საყვარელ სტრიქონებს: „ქუთაისო, ქუთაისო, შენთან არის გული ჩემი“.

— **1988 წელს თქვენ აგირჩიეს სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარედ. ჩვენც ვეესწრებოდით მწერალთა სახლის კლუბში გამართულ პრეზიდიუმის სხდომებს, რომლებიც მწვავედ და საკმაოდ ტარდებოდ. რატომ მიიტოვეთ ეს საქმე?**

— მე განცხადებით მივმართე რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტს, ბატონ აკაკი ბაქრაძეს, ვთხოვე გავენთავისუფლებინე ასაკის გამო. რაც არ უნდა იყოს, ყოველ დროს იყვნენ, არიან და იქნებიან.

— **ბატონო დავით! ხაუბარს ისე ვერ დავსრულებთ, თუ 1989 წლის ტრაგიკული აპრილი არ გავიხსენეთ. იმ დღიდან მოყოლებული ჯანმა იფიქა და მოიცვა მთელი საქართველო, რაღა თქმა უნდა, ქუთაისიც.**

— დასანანია, რომ საქართველომ ვერ მოუსმინა ქუთაისის მწერალთა სახლში გამართულ კრებას. ჩვენ ხომ სატელევიზიო გადაცემებს მოკლებულნი ვართ. იმ სახელდახელო კრება-მიტინგს ბატონი თეიმურაზ შაშიაშვილიც ესწრებოდა. ვხედავდი ჩემი კოლეგა-ქალში დაუყოვნებელივ არ გააუქმებენ კომენდანტის საათს, დაე, ქუთაისშიც შემოიღონ საგანგებო წესებიო. ასეთი იყო მწერალთა გაწყობილება და ერთსულოვანი მოთხოვნა. ბევრი საგულისხმო წერილი, ლექსი და ჩანახატი დაიწერა იმ დღეებზე და გამოქვეყნდა გაზეთ „ქუთაისში“.

— **თქვენი ბოლო რომანის, „მწვანე ქალაქის“ პირველ და მეორე წიგნს უკვე იცნობს მკითხველი. დაგვპირდით, რომ ამთავრებთ მესამე ნაწილს. როდის გამოქვეყნდება?**

— გამომცემლობა „საქართველოს“ ქუთაისის ფილიალში წელს გამოდის „მწვანე ქალაქის“ ორივე წიგნი ერთად. თითქმის მზად მქონდა მესამე ნაწილიც. განზრახული იყო სამივე წიგნის ერთად გამოცემა, მაგრამ თავი შეეკავე და აი, რატომ:

რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი პარტიული მუშაკია. იგი პატიოსან ოჯახშია აღზრდილი, ბუნებით შემტევია, სიახლის მაძიებელი და მაინც... ვერც მან გაუძლო ცდუნებას. ვერ სძლია, ვერ დათრგუნა ადამიანური სისუსტე და ერთბაშად დაამსგრია ომის ვეტერანი მამის ეოხის სიწმინდე. ეტყობა, ერთ მერცხალს გაზაფხულის მოყვანა მართლაც არ ძალუძს.

ნეგატიური კი არ შემოიჭრა, დამპყრობელივით კი არ დაგვეხეხა თავს და დაგვჩაყრო. ჩვენშივე ვიყავ. მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივნის მოვალეობისგანაც ამ მოტივით განთავისუფლდი.

— **ისეთი პროვენება, როგორიც თქვენ ხართ (ახალის მიუხედავად), არ შეიძლება არ მონაწილეობდეს დღეს. ასეთნაირად მომძლავრებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ჯერ თქვენი აზრი გვითხარით, მერე თქვენი ადგილი ამ საერო საქმეში.**

— როგორც ყველა გონიერი, სამშობლოს ერთგული, მისი სრული ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოსურნე და მოწადინე, მეც ჩემს თავს მებრძოლთა რიგებში ვთვლი და, რითაც და როგორც შემიძლია, უყოყმანოდ ვემხრობი მას. იქნებ მხედრულად ვერ ვუწყობდე ფეხს ახალგაზრდობას და ამის გამო უკმაბილობის ვრძნობა მეუფლებოდეს, მაგრამ ერთი ეციხოვნის მოვალეობას მაინც შევასრულებ.

მამულის, ბედი და მომავალი რომ არ აინტერესებდეს, ისეთი ქართველი არც მეგულება. სახალხო საქმისათვის თავდადებულნი აღმოცენდნა. ჰქონდა ამის, ბევრი საფუძველი. უფლებამოსილად გამოიჯგიმა სავარძელ[illegible] ნებენებს ცხოვრების [illegible] ფეხური ვერ ასცდა.

რატომ?

ზევიდან, სულ ზევიდან იწყებოდა ყოველგვარი ნეგატიურის სათავე. იმ პერიოდს დაეშთხვა გარდაქმნის პროცესი, ეგრეთწოდებული დემოკრატიზაცია. გაჩნდა საფიქრალი და ათასი სატკივარი.

„მწვანე ქალაქის“ მესამე ნაწილზე მუშაობას წინ უსწრო ან დაეშთხვა მოვლენები, რომლებმაც სულხორციანად შემძრეს და აამბედრეს ჩემში ძველი ჯარისკაცი.

9 აპრილის ტრაგედია, უზომო დარდი, ხსოვნა დიდი და პატარა ქალბატონების, თანადგომის დაუოკებელი მოძრაობა ქუთაისში და ისიც, რომ „რუსთაველზე ჩამოსკვნენ ქუთაოელი ვარდებიც“, რომანის განუყოფელ ორგანულ ნაწილად უნდა იქცნენ.

მე ვიყავი და ვრჩები ჯარისკაცად. მომწონს ეს სახელი, რადგან ჯარისკაცს სამშობლოსთვის არასოდეს უღალატნია. მოღალატენი ‘გენერლები და პრეზიდენტები იყვნენ მუდამ, თან, ჯარისკაცები არ კვდებიან, ისინი გვშორდებიან მხოლოდ...

— **ბატონო დავით! გაიხსენეთ ყველაზე ბედნიერი წუთები თქვენი ცხოვრებიდან.**

— დაბადების 60 წლისთავზე, ორდენით რომ დამჯილდოვეს ამას ჩემთვის „მაინცდამაინც დიდი სიხარული არ მოუნიშებია. ლიტერატურულ სარბიელზე ჩემი მცირე ღვაწლის გამო ორდენი არ დამიმსახურებია, მაგრამ იმავე თარიღთან დაკავშირებით ჩემმა ქალაქმა, მისმა პატივცემულმა საზოგადოებამ ქუთაისის საპატიო მოქალაქედ რომ ამირჩია, ამაზე დიდი ბედნიერება არასოდეს განმიცდია, არც ამაზე დიდ ჯილდოზე მოიცნებია.

— **როგორ გენახებათ ხაქართველოს დღე ხვალინდელი, რას უსურვებთ ხამშობლოს, ქუთაისს, ჩვენს ახალგაზრდობას?**

— ბატონმა გიორგი ლონიძემ აქ გამართულ საიუბილეო საღამოზე ქუთაისს საქართველოს მეორე ძუძუ უწოდა. ამ თვალსაზრისს დღესაც იმეორებენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები. საქმე კი თითქმის არ იძვრის ადგილიდან.

საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ქუთაისს ყოველ დროს განსაკუთრებული და გამორჩეული ადგილი ეკავა. აღარაფერს ვამბობ მამულიშვილებზე, მეორე ქალაქს რომ ფიუზრდია და შეუმატებია ეროს კულტურისათვის.

უყურადღებობის ტენდენცია გრძელდ